

იზა სამუშია¹

სახელმწიფოები ტერიტორიის გარეშე - კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ახალი საერთაშორისო სამართლებრივი რეალობა?

„ადამიანებმა უნდა განსაზღვრონ ტერიტორიის ბედი

და არა ტერიტორიამ ადამიანების“²

აბსტრაქტი

საერთაშორისო სამართალი არ იცნობს შემთხვევას, როდესაც სახელმწიფომ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა, სამართალმემკვიდრის გარეშე შეწყვიტა არსებობა. არის თუ არა მზად საერთაშორისო სამართალი დაიცვას სახელმწიფო მისი არსებობის სრულად შეწყვეტისაგან? ეს არის მთავარი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც არის წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანი.

კლიმატის ცვლილების შედეგებიდან ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები ზღვის დონის მატებაა, რომელიც, არსებული კვლევების თანახმად, 2100 წლისთვის დაახლოებით 1 მეტრით აიწევს. წყლის დონის ამ მოცულობით მატება დაკავშირებულია სახმელეთო ტერიტორიის დაკარგვასთან, რაც სულ მცირე მარშალის კუნძულების, მალდივის კუნძულების, კირიბატის რესპუბლიკისა თუ ტუვალუსის ნიშნავს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს.

რას ნიშნავს სახელმწიფოებრიობა საერთაშორისო სამართლისთვის და რა ბედი ეწევა ამ ინსტიტუტს მას შემდეგ რაც სახელმწიფო ტერიტორია სრულად დაიფარება წყლის მასით? შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს არსებობა ტერიტორიის გარეშე და მოიძებნება თუ არა საერთაშორისო სამართალში ბერკეტები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ამ ვითარებაში?

წინამდებარე ნაშრომში, არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, განხილულია წყლის დონის მატების შედეგად სახმელეთო ტერიტორიის დაკარგვით გამოწვეული პროცესების პრაქტიკული და სამართლებრივი შედეგები და შემოთავაზებულია ტერიტორიის გარეშე სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ალტერნატიული შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, კუნძულოვანი სახელმწიფო, ტერიტორია, სახელმწიფოებრიობა.

¹ თსუ იურული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა: Iza.Samushia371@law.tsu.edu.ge.

² *Western Sahara, Advisory Opinion*, ICJ Rep. 12, 16th October 1975, United Nations; International Court of Justice, separate opinion of Judge Dillard, 122.

Abstract

International law does not recognize a case where a state, as a subject of international law, ceased to exist without a legal successor. Is the international law capable of protecting the state from its complete disappearance? Answering to this question is the main purpose of the paper before.

One of the most notable consequences of the climate change is the sea level rise, which, according to existing studies, will rise by approximately 1 meter by 2100. An increase in this volume of water level is directly connected to the loss of land area, which, at least for the Marshall Islands, the Maldives, the Republic of Kiribati or Tuvalu, poses a real threat of losing statehood.

What does statehood mean under international law, and what is the fate of this institution after the state territory is entirely covered by water? Is it possible for a state to exist without a territory, and is there any levers in international law that makes the maintenance of the statehood real in this situation?

Based on the analysis of existing international legal norms and practices, the paper before considers the practical and legal consequences of the processes caused by the loss of land area due to rising sea levels and provides alternative possibilities for conservation of the statehood without the state territory.

Keywords: *Climate change, island state, territory, statehood.*

შესავალი.

კლიმატის ცვლილების შედეგებიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევა ზღვის დონის მატებაა, რომელიც 2100 წლისთვის 26-დან 98 სმ-მდე აიწევს.³ ზღვის დონის მატებამ, შესაძლოა სრულიად შეცვალოს დედამიწის ფაქტობრივი და სამართლებრივი რეალობა. ამ პროცესის დასაწყისი პატარა, განვითარებად კუნძულოვან სახელმწიფოებზე გადის, რომლებიც ზღვის დონის მატების შედეგად სრულიად გაქრებიან მსოფლიო რუკიდან.⁴

კუნძულოვან სახელმწიფოთა სახმელეთო ტერიტორიის წყლის მასით დაფარვა გარდაუვალია, იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფოები იმ დონემდე შეამცირებენ სითბური გაზების ემისიას, რომ ატმოსფეროს ტემპერატურა არსებულ

³ Intergovernmental Panel on Climate Change, *Climate Change 2013: The Physical Science Basis. Working Group I Contribution to the Fifth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change*, Cambridge, United Kingdom, Cambridge University Press, 2013, 25.

⁴ Nurse L. A., *Small Islands*, in V. R. Barros and others (eds) *Climate Change 2014: Impacts, Adaptation, and Vulnerability*, Cambridge University Press, Cambridge, United Kingdom and New York, NY, USA, 1618-1620;

მდგომარეობაში შენარჩუნდეს.⁵ ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა ნაწილი, რომელიც დღეს არსებობს, აკმაყოფილებს სახელმწიფოს არსებობისთვის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, უბრალოდ გაქრება. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება აქამდე არსებული სცენარის გაგრძელება - რომელიმე სახელმწიფოსთან შეერთება⁶ ან სახელმწიფოს დაშლა,⁷ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სამართალმემკვიდრის გარეშე შეწყვეტს არსებობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განხილვა თუ საერთაშორისო სამართალი, როგორც მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი სისტემა, რამდენად არის მზად ამ სცენარისა და მისი არსებობის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

ამრიგად, ნაშრომში, არსებული საერთაშორისო სამართლებრივი დებულებების, შესაბამისი პრაქტიკისა და გამოწვევების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განხილულია სახელმწიფოების შესაძლებლობები შეინარჩუნონ სამართალსუბიექტუნარიანობა, სახელმწიფოს კლასიკური განმარტების შეუსრულებლობის პირობებში. ამ მიზნით, ნაშრომის პირველი თავში წარმოდგენილი იქნება ის გამოწვევები, რომლებსაც კლიმატის ცვლილების შედეგები და უმეტესად, ზღვის დონის მატება ქმნის ჩვენი მსგავსი, ჩვენი თანამედროვე ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნაშრომის მეორე თავი მიეძღვნება „სახელმწიფოს“ თანამედროვე გაგებას და იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტული ერთეული სახელმწიფოდ ფორმირების პროცესში უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, გაანალიზებული იქნება მონტევიდეოს კონვენციით დადგენილი სახელმწიფოებრიობის საზღვრები. ნაშრომის მესამე თავში, ნაჩვენები იქნება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა და მის გარეშე. მეოთხე თავი, წარმოადგენს ხედვას, რომლის თანახმადაც ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არის ის სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს არსებობისთვის მნიშვნელოვან კრიტერიუმებში დანაკლისის შევსებას და შესაბამისად, ტერიტორიის განუსაზღვრელობის, ტერიტორიასა და მოსახლეობაზე კონტროლის არ არსებობის პირობებში ხალხს აძლევს საკუთარი პოლიტიკური სტატუსის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ნაშრომის მე-5, მე-6 და მე-7 თავებში შემოთავაზებული იქნება მიდგომები, რომლებიც შესაძლოა გახდეს ახალი საერთაშორისო სამართლებრივი რეალობის

⁵ Chu J., *Short-lived greenhouse gases cause centuries of sea-level rise*, NASA – Global Climate Change, January 12, 2017, < <https://climate.nasa.gov/news/2533/short-lived-greenhouse-gases-cause-centuries-of-sea-level-rise/> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶ Hailbronner K., *Legal Aspects of the Unification of the Two German States*, 18 European Journal of International Law 1991, 18-44.

⁷ Güler A., *The Dissolution of Yugoslavia: The Triple Distrust System The Balkans*, Gumushane Universitesi Sosyal Bilimler Elektronik Dergisi, March 2016.

შემადგენელი ნაწილი და ზღვის დონის მატების შედეგად ჩაძირულ სახელმწიფოებს მისცეს შესაძლებლობა შეინარჩუნონ სახელმწიფოებრიობა.

საბოლოო ჯამში, ნაშრომში დასკვნის სახით შეფასებული იქნება ტერიტორიის გარეშე დარჩენილი კუნძულოვანი სახელმწიფოების მიერ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების სამართლებრივი შესაძლებლობები.

1. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესების გავლენა სახელმწიფოებრიობაზე

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესები და მათ შორს ზღვის დონის მატება, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის.⁸ თუმცა, ამ თემისადმი ყველაზე მოწვევადები წყნარი ოკეანის აუზში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოები არიან⁹, ვინაიდან ზღვის დონიდან მდებარეობის მაჩვენებელი ამ სახელმწიფოებისთვის საშუალოდ 2 მეტრს შეადგენს.¹⁰ ამ გარემოებაზე დაყრდნობით კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ კუნძულოვან სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნამდვილად არის სუვერენიტეტის დაკარგვისა და არსებობის შეწყვეტის რისკის ქვეშ.¹¹

ფაქტი ერთია, რომ კუნძულოვან სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილი დროთა განმავლობაში სახმელეთო ტერიტორიის გარეშე რჩება. 2006 წელს ბენგალის ყურეში ლოჰაჩარას კუნძული მთლიანად დაიტბორა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა გადასახლებულიყო მიმდებარე კუნძულებზე.¹² კლიმატის ცვლილების შედეგად ზღვის დონის აწევამ აუცილებელი გახდა კარტერეტის კუნძულების სრული მოსახლეობის უფრო მაღლა მდებარე, ბუგენვილის კუნძულებზე გადასახლება.¹³ ასევე, უნიდოგოლოა არის პირველი სოფელი ფიჯიზე, რომელიც

⁸ Dixon T., *Addressing the implications of rising sea levels for international law*, ODUMUNC 2020 Issue Brief for GA Sixth Committee (Legal), ODU Model United Nations Society, < <https://www.odu.edu/content/dam/odu/offices/mun/issue-brief-2019/ib-6th-sea-levels.pdf> >, [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

⁹ United Nations, *Report of the International Law Commission Sixty-ninth session* (1 May-2 June and 3 July-4 August 2017), [A/72/10](https://undocs.org/en/A/72/10), 149, < <https://undocs.org/en/A/72/10> > [ბოლოს ნანახია: 24.09.2020]; *Supra note 3*, 1613-1654.

¹⁰ United States Central Intelligence Agency, 2008 World factbook, < <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html> > [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

¹¹ Intergovernmental Panel on Climate Change, *Climate Change 2007: Impacts, Adaptation and Vulnerability, Contribution of Working Group II to the Fourth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change*, Cambridge, United Kingdom, Cambridge University Press, 2007, (Fourth Assessment Report) 736.

¹² *Global Warming - Lohachara Island*, December 24, 2006, < http://mc-computing.com/qs/global_warming/newspapers/lohachara.html >, [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

¹³ Connell J., *Last days in the Carteret Islands? Climate change, livelihoods and migration on coral atolls*, Asia Pacific Viewpoint, Vol. 57, No. 1, April 2016, < <https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/apv.12118> >, [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

მოსახლეობამ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესების შედეგად მიატოვა. ფიჯის მთავრობამ ახალი სოფელი ააშენა და მომავალში კიდევ 40 ასეთი სოფლის მშენებლობას გეგმავს მოსახლეობის განსათავსებლად, ვინაიდან უნიდოგოლოა არის პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი სოფელი, რომელიც ჩაიძირება.¹⁴

ხაზგასასმელია, რომ ზემოხსენებულ არცერთ შემთხვევაში არ გამქრალა სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორია და არც მოსახლეობას, როგორც ასეთს, დაუტოვებია იგი, ადგილი ჰქონდა მხოლოდ შიდა მიგრაციულ პროცესებს. ამ ვითარებაში საკითხი სახელმწიფოებრიობის ნაწილში შედარებით მარტივად დგას, ვინაიდან საქმე გვაქვს სახელმწიფო ტერიტორიის ცვლილებასთან და არა მის სრულიად გაქრობასთან.

2. სახელმწიფოებრიობა საერთაშორისო სამართალში

რა მოხდება მას შემდეგ, რაც კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიას სრულად დაფარავს წყლის მასა? გახდება თუ არა, სახელმწიფოს ტერიტორიის გაქრობა სახელმწიფოს, როგორც ასეთის, იმთავითვე გაქრობის წინაპირობა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მნიშვნელოვანია დადგინდეს თავად სახელმწიფოს არსი, მისი ფორმირების წინაპირობები და ტერიტორიის მნიშვნელობა ამ პროცესში.

2.1. სახელმწიფო და მონტევიდეოს კონვენცია

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მთავარ შემოქმედს და ამავე ნორმების ძირითად ადრესატს,¹⁵ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა, რომელიც განმარტავს სახელმწიფოს არსს,¹⁶ რაც გამოწვეულია საკითხის პოლიტიკურად სენსიტიური ბუნებიდან.¹⁷

სახელმწიფოს წარმოშობისთვის აუცილებელ ძირითად კრიტერიუმთა პირველად სამართლებრივ ბაზად მიიჩნევა მონტევიდეოს კონვენცია სახელმწიფოთა

¹⁴ Worland J., *The Leaders of These Sinking Countries Are Fighting to Stop Climate Change. Here's What the Rest of the World Can Learn*, TIME, June13, 2019, < <https://time.com/longform/sinking-islands-climate-change/> >, [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

¹⁵ Österdahl I., *Relatively Failed, Troubled Statehood and International Law*, 2003, 14 Finnish Yearbook of International Law 49, 18 May 2005, 49;

¹⁶ Grant T. D., *Defining Statehood: The Montevideo Convention and its Discontents "Defining Statehood"*, Columbia Journal of Transnational Law, 1999, 37, 413.

¹⁷ Scholten H. J., *Statehood and State Extinction: Sea Level Rise and the Legal Challenges Faced by Low-Lying Island-States*, 2011, 12, < https://www.academia.edu/6125630/Statehood_and_State_Extinction_Sea_Level_Rise_and_the_Legal_Challenges_Faced_by_Low_Lying_Island_States_Table_of_contents >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (შემდგომში - მონტევიდეოს კონვენცია).¹⁸ მონტევიდეოს კონვენციისეული განმარტებით „სახელმწიფო“, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, წარმოადგენს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მუდმივ მოსახლეობას, რომელსაც მართავს ეფექტიანი მთავრობა და აქვს შესაძლებლობა აწარმოოს საერთაშორისო ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან.¹⁹ მონტევიდეოს კონვენცია, თავის მხრივ, წარმოადგენს ძველ, ინტერ-ამერიკულ ხელშეკრულებას რატიფიკაციის არც თუ მაღალი მაჩვენებლით. თუმცა, სახელმწიფოს განმარტების კონვენციისეული ნორმა თავისი არსით ჩვეულებითი სამართლის ნაწილს ქმნის²⁰ და შესაბამისად, მნიშვნელოვან საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს.²¹

2.1.1. განსაზღვრული ტერიტორია

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში განმტკიცებული ტერიტორიული სახელმწიფოს ფორმირება დაიწყო 1648 წლიდან, მას შემდეგ რაც ვესტფალიის ზავით ევროპა დაიყო კონკრეტულ ტერიტორიაზე მოქმედ სუვერენულ სახელმწიფოებად.²² თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვითარებაშიც კი, სახელმწიფოების ტერიტორიული საფუძვლით დაყოფა არ მოჰყოლია მსჯელობას, თუ რა ქმნის სახელმწიფოს და არის თუ არა ტერიტორია სახელმწიფოს არსებობის განუყოფელი ნაწილი.²³ ამის მიუხედავად, ტერიტორია ყოველთვის შეადგენდა სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელოვან კომპონენტს.²⁴

მონტევიდეოს კონვენციისეული დებულება მიუთითებს „განსაზღვრულ ტერიტორიაზე“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში, ტერიტორია, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, აუცილებელი არ არის იყოს აბსოლუტურად განსაზღვრული, არამედ მნიშვნელოვანია არსებობდეს გარკვეული ტერიტორიული ბაზისი.²⁵ ტერიტორიული

¹⁸ Shaw M. N., *International Law*, 6th edition, Cambridge University Press, 2008, 198, (M. N. Shaw, 2008); Pellet A., *The Opinions of the Badinter Arbitration Committee: A Second Breath for the Self-Determination of Peoples*, 3 The European Journal of International Law 1992, 178-185.

¹⁹ *Convention on Rights and Duties of States*, December 26, 1933, U.S.T. 881, 165, Article 1.

²⁰ Harris D., *Cases and Materials on International Law*, 7th edition, Sweet & Maxwell, 2010, 92, (D. Harris, 2010); Bantekas I. and Papastavridis E., *Concentrate International Law*, 3rd edition, Oxford University Press, 2010, Chapter 5.

²¹ *Statute of the International Court of Justice*, United Nations, 18 April 1946, Article 38 (1-b), < <https://www.icj-cij.org/en/statute> >, [ბოლოს ნანახია: 24.09.2020].

²² Winfield P. H., *The Foundations & the Future of International Law*, Cambridge University Press, 1941, 18; Gross L., *The Peace of Westphalia, 1648–1948*, 42 American Journal of International Law 1948, 20.

²³ Crawford J. R., *The Creation of States in International Law*, Clarendon Press, Oxford, 2006, 44-46 (J. R. Crawford, 2006), 10.

²⁴ Lowe V., *International Law*, Oxford University Press, Hobach, Lefeber & Ribbelink, 2007, 162.

²⁵ Shaw M. N., *International Law*, 6th edition, Cambridge University Press, 2008, 199; Higgins R., *Problems and Process: International Law and How We Use It*, Clarendon Press, 1994, 40, (R. Higgins, 1994).

საზღვრების დაუდგენლობისა და დავების სახელმწიფოს ფორმირების პროცესზე მინიმალურ გავლენაზე მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკა. კერძოდ, სულ მცირე, ალბანეთი, ბურუნდი, ესტონეთი, ისრაელი, ქუვეითი, ლატვია და რუანდა გაერო-ს წევრები გახდნენ საზღვრების დაუდგენლობისა და ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ეფექტური კონტროლის განუხორციელებლობის პირობებში.²⁶ ამავე გარემოებაზე, მიუთითა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეში.²⁷

შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ტერიტორია მონტევიდეოს კონვენციის მიზნებისთვის წარმოადგენს ხმელეთის გარკვეულ ნაწილს და მისი ფარგლების განსაზღვრულობა და მოცულობა სახელმწიფოს ფორმირების პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანია. მსჯელობის ამ ჯაჭვს თუ მივყვებით, შეიძლება ითქვას, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოების ტერიტორია მონტევიდეოს კონვენციისეულ დეფინიციასთან შესაბამისობაში იქნება მანამ, სანამ ამ სახელმწიფოთა სახმელეთო ტერიტორიის უკანასკნელი წერტილი არ დაიფარება წყლის მასით.

2.1.2. მუდმივი მოსახლეობა

მონტევიდეოს კონვენციის მიზნებისთვის „მუდმივი მოსახლეობა“ წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები და ქმნიან საზოგადოებას.²⁸ იგი არ გვთავაზობს მოსახლეობის დამატებით პარამეტრებს, არც მის მინიმალურ რაოდენობას.²⁹ შესაბამისად, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მუდმივობის საკითხს და არა მის რაოდენობრივ მაჩვენებელს. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სანამ კუნძულოვან სახელმწიფოთა ტერიტორიაზე იქნება ადამიანთა მუდმივ-მოსახლე ჯგუფი, კონვენციის მოთხოვნა შესრულდება. მით უფრო, თუ მივიღებთ მხედველობაში პიტკაირნის კუნძულების შემთხვევას, რომლის დამოუკიდებლობის უფლება აღიარებულ იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ კუნძულების მოსახლეობა იმ პერიოდში დაახლოებით 50 ადამიანს შეადგენდა.³⁰

²⁶ *Ibid*, R. Higgins, 1994, 40; American Law Institute, *Restatement of the Law Third: The Foreign Relations Law of the United States*, Vols. 1 and 2., American Law Institute Publishers, 1987, 201.

²⁷ *North Sea Continental Shelf Cases*, Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands, ICJ Rep., 20 February 1969, 42.

²⁸ Shen J., *Sovereignty, Statehood, Self-Determination, And the Issue of Taiwan*, 15(5) American University International Law Review, 2000, 1126-27.

²⁹ *In re Duchy of Sealand*, Administrative Court of Cologne, Germany, 1978, 80 ILR, 1989, 687, < <http://www.uniset.ca/naty/80ILR683.htm> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

³⁰ United Nations, *The United Nations and Decolonization, Pitcairn*, < <https://www.un.org/dppa/decolonization/en/nsqt/pitcairn> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

2.1.3. ეფექტიანი მთავრობა

ეფექტიანი მთავრობა არის სახელმწიფოს არსებობისთვის მონტევიდეოს კონვენციით განსაზღვრული მესამე კრიტერიუმი. ვინაიდან ცენტრალური მთავრობა არის ის ორგანო, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე,³¹ იგი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტთან. გაერთიანებამ, რომელსაც სურს სახელმწიფოდ ჩამოყალიბება უნდა დაამტკიცოს, რომ მის ცენტრალურ მთავრობას შესწევს უნარი განახორციელოს სამთავრობო ფუნქციები ტერიტორიისა და მოსახლეობის ეფექტური კონტროლის გზით, ჰქონდეს უფლებები და იკისროს შესაბამისი ვალდებულებები.³²

არ არსებობს ეფექტიანი მთავრობის სტრუქტურის ერთიანი, დადგენილი, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი.³³ თუმცა, შესაძლებელია ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტის გამოყოფა - მთავრობას უნდა ჰქონდეს კონტროლის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი და ამასთან, იგი ფაქტობრივად უნდა ახორციელებდეს კონტროლს.³⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანი მთავრობის კრიტერიუმი, მოსახლეობისა და ტერიტორიის კრიტერიუმებთან შედარებით მოქნილია.³⁵ ამრიგად, სომალის სახელმწიფოებრიობა ეჭვქვეშ არ დამდგარა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ ჰყავს ეფექტური მთავრობა,³⁶ სულ მცირე 10 წელიწადი ვერ ახორციელებდა საერთაშორისო ურთიერთობებს, არ ჰყავდა დიპლომატიური მისიები საზღვარგარეთ და ვერ მონაწილეობდა გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობის პროცესში.³⁷ ანალოგიური ვითარება იყო ქუვეითში,³⁸ ავღანეთსა³⁹ და ეთიოპიაში.⁴⁰ ამ ჯაჭვის

³¹ Crawford J. R., *The Criteria For Statehood In International Law*, 48 British Yearbook of International Law 1977, 116.

³² Kohen M. G., *La création d'Etats en droit international contemporain*, 4 Curso Euromediterráneo Bancaja de Derecho Internacional 2002, 617.

³³ *Western Sahara*, Advisory Opinion, ICJ Rep. 12, 16th October 1975, United Nations; International Court of Justice, 35-36.

³⁴ Crawford J. R., *The Criteria For Statehood In International Law*, 48 British Yearbook of International Law 1977, 116.

³⁵ Higgins R., *Problems and Process: International Law and How We Use It*, Clarendon Press, 1994, 40.

³⁶ The World Bank Group, Federal Republic of Somalia, Systematic Country Diagnostic, Report No. 123807-SO, May 1, 2018, < <http://documents1.worldbank.org/curated/en/554051534791806400/pdf/SOMALIA-SCD-08152018.pdf> >, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020]; K. Menkhaus, Governance without Government in Somalia, 31 (3) International Security 2006, < https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/is3103_pp074-106_menkhaus.pdf >, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

³⁷ Kreijen G., *State Failure, Sovereignty and Effectiveness*, Martinus Nijhoff, 2004, 160.

³⁸ United Nations, *Security Council Resolution 662* (1990), UN Doc S/RES/662, 9 August 1990, < [https://undocs.org/S/RES/662\(1990\)](https://undocs.org/S/RES/662(1990)) >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

³⁹ Crawford J. R., *The Creation of States in International Law*, Clarendon Press, Oxford, 2006, 694.

⁴⁰ *Ibid*, 518-520.

უახლესი მაგალითი არის ლიბია, რომელსაც მიუხედავად მრავალი მცდელობისა⁴¹ ეფექტიანი მთავრობა არ ჰყავს 2011 წლიდან.⁴² ეფექტური მთავრობის გარეშე დარჩენილი სახელმწიფოების სამართალსუბიექტუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. მსგავს სიტუაციაში სახელმწიფოები კვლავ მიიჩნევიან გაერო-ს წევრებად და მათი სტატუსის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.⁴³

2.1.4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა

მონტევიდეოს კონვენციის პირველი მუხლი სახელმწიფოსთვის მეოთხე და აუცილებელ კრიტერიუმად განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. თუმცა, ეს თვისება არ ახასიათებს ექსკლუზიურად მხოლოდ სახელმწიფოებს, ვინაიდან ამგვარ შესაძლებლობას საერთაშორისო ორგანიზაციებიც ფლობენ.⁴⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარს განიხილავენ არა როგორც სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობას, არამედ მის შედეგს,⁴⁵ და თავის მხრივ, აიგივებენ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობას აქვს ორი ასპექტი - ფაქტობრივი და სამართლებრივი. დამოუკიდებლობის ფაქტობრივი ასპექტი გულისხმობს ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელებას სხვა სახელმწიფოს მითითებების შესრულების გარეშე, ხოლო სამართლებრივი ასპექტი დაკავშირებულია კონკრეტულ ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა მიერ კანონიერი ინტერესების არ არსებობასთან.⁴⁶

3. სახელმწიფოებრიობა ზოგად წესს მიღმა

3.1. დევნილი მთავრობები

საერთაშორისო სამართალში, მთავრობად მიიჩნევა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს სახელმწიფოს ტერიტორიასა და მოსახლეობაზე.

⁴¹ *Libya: the Consequences of a failed state*, House of Commons Library, Briefing Paper, 18 May 2018, < <https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-8314/> >, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

⁴² Engel A., *Libya as a Failed State: Causes, Consequences, Options*, Research Notes 24, The Washington Institute, November 2014, < <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/libya-failed-state-causes-consequences-options> >, [ბოლოს ნანახია: 27.09.2020].

⁴³ Halilovic I. et al, *FAILED STATES – How the United Nations should deal with them*, Vienna, 2012, 12, < <https://acuns.org/wp-content/uploads/2013/01/UN-in-Failed-states.pdf> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁴⁴ Crawford J. R., *The Criteria For Statehood In International Law*, 48 *British Yearbook of International Law* 1977, 119.

⁴⁵ Crawford J. R., 2006, *Supra note 38*, 32-33.

⁴⁶ Akande D., *The Importance of Legal Criteria for Statehood: A Response to Jure Vidmar*, *European Journal of International Law*, August 7, 2013, < <https://www.ejiltalk.org/the-importance-of-legal-criteria-for-statehood-a-response-to-jure-vidmar/> >, [ბოლოდ ნანახია: 25.09.2020].

შესაბამისად, მთავრობის არსი დაკავშირებულია ტერიტორიული კონტროლის ფაქტთან.⁴⁷ ერთდეროთ გამოწვევის, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ამ წესიდან წარმოადგენს დევნილი მთავრობის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მთავრობა ამ უკანასკნელს მართავს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან.⁴⁸ ასეთი მთავრობები, არსებული პრაქტიკის თანახმად, დაკავშირებულია შეიარაღებული კონფლიქტებისა და ოკუპაციის მდგომარეობასთან, როდესაც სახელმწიფოს მთავრობა მოკლებულია სახელმწიფოსავე ტერიტორიისა და მოსახლეობის კონტროლის შესაძლებლობას.⁴⁹ არ არსებობს დევნილი მთავრობის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმი და ის ძირითად შემთხვევაში დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს შეფასებაზე, რომელიც ცნობს კონკრეტულ მთავრობას.⁵⁰ თუმცა, შეფასების პროცესში მთავარ განმსაზღვრელ ასპექტს წარმოადგენს ხალხის ნამდვილი ნების წარმომადგენლობის ფაქტი.⁵¹ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების გათვალისწინებით 50-ზე მეტმა სახელმწიფომ⁵², მათ შორის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ⁵³ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირეს ხუან გუაიდოს, როგორც ვენესუელას დროებითი პრეზიდენტის კანდიდატურას.⁵⁴ დევნილი მთავრობის ინსტიტუტის უახლეს გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ბელარუსის რესპუბლიკაში 2020 წლის 09 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო

⁴⁷ Jennings R., Watts A., *Oppenheim's International Law*, 9th edition, Longmans, United Kingdom, 1992, 150-54;

⁴⁸ McAdam J., *Disappearing States, Statelessness and the Boundaries of International Law*, 2 University of New South Wales Law Research Paper 2010, 116.

⁴⁹ Wong D., *Sovereignty Sunk? The Position of "Sinking States" at International Law*, 14 Melbourne Journal of International Law 2014, 364, < <http://classic.austlii.edu.au/au/journals/MelbJIL/2013/13.pdf> >, [ბოლოს ნანახი: 25.09.2020].

⁵⁰ Rotter M., „Government-in-Exile“ in R. Bernhardt (ed.), *Encyclopedia of Public International Law*, 2nd edition, Amsterdam, 1995, 608.

⁵¹ Talmon S., *Who is a legitimate government in exile? Towards normative criteria for governmental legitimacy in international law*, *The Reality of International Law*, Essays in Honour of Ian Brownlie, Oxford University Press 1999, 499-537, < https://www.ilsa.org/Jessup/Jessup12/Talmon_Who%20is%20a%20legitimate%20government%20in%20exile.pdf >, [ბოლოს ნანახი: 25.09.2020].

⁵² ShareAmerica, More than 50 Countries Support Venezuela's Juan Guaidó, November 15, 2019, < <https://share.america.gov/support-for-venezuelas-juan-guaido-grows-infographic/> >, [ბოლოს ნანახი: 28.09.2020].

⁵³ Pérez-Peña R., *European Countries Recognize Guaidó as Venezuela's Leader. Joining U.S.*, The New York Times, February 04, 2019, < <https://www.nytimes.com/2019/02/04/world/americas/venezuela-juan-guaido.html> >, [ბოლოს ნანახი: 28.09.2020]; 19 EU states recognize Guaido as interim Venezuelan leader, 04 February 2019, < <https://www.efe.com/efe/english/world/19-eu-states-recognize-guaido-as-interim-venezuelan-leader/50000262-3887100> >, [ბოლოს ნანახი: 28.09.2020].

⁵⁴ Anderson S. R., *What Does It Mean for the United States to Recognize Juan Guaidó as Venezuela's President?*, Lawfare, February 01, 2019, < <https://www.lawfareblog.com/what-does-it-mean-united-states-recognize-juan-guaid%C3%B3-venezuelas-president> >, [ბოლოს ნანახი: 28.09.2020].

არჩევნების შედეგებით დაწყებული მოვლენები და სვეტლანა ტიხანოვსკაიას მიმართ, ცნობის სახით გამოხატული საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა.⁵⁵

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი იცნობს დევნილი მთავრობების შემთხვევებს, კლიმატის ცვლილების შედეგად ჩადირულ სახელმწიფოთა შემთხვევაში ვითარება გაცილებით რთულია. კერძოდ, დევნილი მთავრობა არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, ამ შემთხვევაში, გვევლინება სახელმწიფო რომელსაც წარმოადგენს დევნილი მთავრობა.⁵⁶ ანუ დევნილი მთავრობის არსებობის წინაპირობა იმ სახელმწიფოს არსებობაა, რომლის მოსახლეობის ნამდვილი ნების წარმომადგენლადაც ეს უკანასკნელი გვევლინება.⁵⁷ ზღვის დონის მატების შედეგად ჩადირული სახელმწიფოების შემთხვევაში ვითარებას სწორედ ის ფაქტი ართულებს, რომ სახელმწიფოს როგორც ასეთი არსებობა დგას ეჭვქვეშ. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა არსებული პრაქტიკის თანახმად, დევნილი მთავრობის ინსტიტუტი გამოიყენება ოკუპაციისა და სახელმწიფო არეულობების შემთხვევებში და თავისი არსით დროებით ხასიათს ატარებს.⁵⁸ იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესების შეჩერებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას თეორიულადაც კი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება,⁵⁹ რთულია იმის თქმა, რომ კლასიკური გაგებით დევნილი მთავრობის ინსტიტუტი ერგება მოცემულ ვითარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობები ამ სახით არსებობას შესაძლოა ათეულობით წლების განმავლობაში აგრძელებდნენ და ამან ეჭვქვეშ არ დააყენოს სახელმწიფოებრიობის საკითხი.⁶⁰

3.2. სახელმწიფოებრივი სამართალსუბიექტუნარიანობა ტერიტორიის გარეშე

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტებს, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოებს, ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, თუმცა, თავისუფლად ფლობენ სახელმწიფოთა მსგავს უფლებებსა და მოვალეობებს საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კუნძულოვანი

⁵⁵ Lithuania Recognises Tikhonovskaya As Belarusian National Elected Leader, BelarusFeed, 11 September 2020, < <https://belarusfeed.com/lithuania-recognises-tikhonovskaya-national-leader/> >, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

⁵⁶ Talmon S., *Recognition of Governments in International Law: With Particular Reference to Governments in Exile*, Oxford University Press, Oxford/New York, 2001, 15-16.

⁵⁷ Talmon S., *Who is a legitimate government in exile? Towards normative criteria for governmental legitimacy in international law*, *The Reality of International Law*, Essays in Honour of Ian Brownlie, Oxford University Press 1999, 499-407.

⁵⁸ McAdam J., *Disappearing States, Statelessness and the Boundaries of International Law*, 2 University of New South Wales Law Research Paper 2010, 116.

⁵⁹ Yamamoto L., Esteban M., *Vanishing Island States and Sovereignty*, 53 *Ocean & Coastal Management* 2010, 7.

⁶⁰ Lee S., *Identity and Continuity of State: The Cases of the Baltic States and Korea*, 10 *Korean University Law Review* 2011, 152.

სახელმწიფოების ტერიტორია მთლიანად მოექცევა წყლის ქვეშ, არსებული პრაქტიკა იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოებმა ტერიტორიის გარეშე, შესაძლოა განაგრძონ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არსებობა. თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს სახელმწიფომ ტერიტორიის გარეშე ამის პრაქტიკულ მაგალითად შესაძლოა გამოგვადგეს მალტის ორდენისა და წმინდა საყდრის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ მალტის ორდენი არ არის სახელმწიფო, მას გააჩნია საერთაშორისო სამართალსუბიექტუნარიანობა,⁶¹ დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 110 სახელმწიფოსთან,⁶² აქვს შესაძლებლობა გააფორმოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ჰყავდეს წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფოში და სარგებლობდეს სუვერენული იმუნიტეტით.⁶³ რაც შეეხება წმინდა საყდრს, უდავოა მისი სამართალსუბიექტუნარიანობა, ვინაიდან იგი წარმოადგენს გაერო-ს არაწევრ, მუდმივ დამკვირვებელს,⁶⁴ არის არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი, დიპლომატიურ ურთიერთობებს აწარმოებს 189 სახელმწიფოსთან და არის რამდენიმე ათეული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ან დამკვირვებელი.⁶⁵

4. კუნძულოვანი სახელმწიფოების თვითგამორკვევის უფლება

სახელმწიფოთა სრული გაქრობის შემთხვევა არ არსებობს საერთაშორისო სამართალში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია კუნძულოვანი სახელმწიფოების მიერ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის რელევანტური ყველა გარემოების განხილვა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, კუნძულოვან სახელმწიფოთა მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლების, როგორც სახელმწიფოებრიობის განგრძობადად შენარჩუნების საფუძვლის მიმოხილვა. მით უფრო, იმის მხედველობაში მიღებით, რომ თავად კუნძულოვანი სახელმწიფოების ლიდერები და ადამიანის უფლებათა საკითხებზე სპეციალური მომხსენებლები მიუთითებენ მოსალოდნელ რეალობაზე, როგორც ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის უარყოფაზე.⁶⁶

⁶¹ *Nanni v. Pace and the Sovereign Order of Malta*, 1935, 8 ILR 2, 4, Italian Court of Cassation; *Reparation for injuries suffered in the service of the Nations*, Advisory Opinion, ICJ Rep 174, 11 April 1949, 174-179.

⁶² Order of Malta, Bilateral relations, < <https://www.orderofmalta.int/diplomatic-activities/bilateral-relations/> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶³ Cox N., *The Continuing Question of Sovereignty and the Sovereign Military Order of Jerusalem, of Rhodes and of Malta*, 13 Australian International Law Journal 2006, 223-24.

⁶⁴ United Nations, About Permanent Observers, < <https://www.un.org/en/sections/member-states/about-permanent-observers/index.html> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶⁵ Permanent Observer Mission of the Holy See to the United Nations, Diplomatic Relations of the Holy See, < <https://holyseemission.org/contents/mission/diplomatic-relations-of-the-holy-see.php> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; United Nations, Participation of the Holy See in the work of the United Nations, A/RES/58/314, 2004, < <https://undocs.org/en/A/RES/58/314> >, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶⁶ OHCHR, *Submission of the Maldives to the Office of the UN High Commissioner for Human Rights*, 25th September 2008, Human Rights Council Resolution 7/23 "Human Rights and Climate Change", 7, < https://www.ohchr.org/Documents/Issues/ClimateChange/Submissions/Maldives_Submission.pdf >, [ბოლოს

ის ფაქტი, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოები, მათი სახელმწიფოებრიობიდან გამომდინარე თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას ახდენენ უდავოა, თუმცა, ეს საკითხი შესაძლოა გარკვეულმა გარემოებებმა ეჭვქვეშ დააყენოს. მაგალითისთვის, თუ კუნძულოვანი სახელმწიფოს ჩაძირვის შედეგად სახელმწიფოს მოსახლეობას მოუწევს გადასახლება სხვა სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.⁶⁷ ეს ნიშნავს, რომ შეიცვლება მათი დამოუკიდებლობის ხარისხი,⁶⁸ ანუ არსებობს რისკი, რომ გაქრეს მათი სუვერენული დამოუკიდებლობა და შესაბამისად, საფრთხე შეექმნას ამ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას.⁶⁹

4.1. კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობა - „ხალხი“ თუ „უმცირესობა“?

ვინაიდან თვითგამორკვევის უფლება ეკუთვნის ხალხს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენად დააკმაყოფილებს კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობა ამ კრიტერიუმს გადასახლების შემდგომ. არ არსებობს ამ კრიტერიუმის საყოველთაო აღიარებული ერთმნიშვნელოვანი განმარტება,⁷⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენებთ UNESCO-ს მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, რომლის თანახმადაც „ხალხს“ ახასიათებს ოთხი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი - 1) მათ აკავშირებთ საერთო მახასიათებლები, როგორცაა ტრადიციები, კულტურა, ეთნიკური იდენტობა, ენა, რელიგია და სხვ., 2) „ხალხი“ თვითგამორკვევის მიზნებისთვის არის უფრო მეტი ვიდრე ადამიანთა უბრალო გაერთიანება, 3) შესაბამისად, ეს ჯგუფი საკუთარ თავს განსაზღვრავს და აღიქვამს, როგორც „ხალხს“ და 4) ამ ჯგუფს გააჩნია გარკვეული ინსტიტუციები ან სხვა საშუალებები საკუთარი იდენტობის გამოსახატად.⁷¹

ნანახია: 24.05.2020]; United Nations, *Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment*, A/HRC/31/52, 2016, 29, <<https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/015/72/PDF/G1601572.pdf?OpenElement>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶⁷ McAdam J. et al., *International Law and Sea-Level Rise: Forced Migration and Human Rights*, Report of the Fridtjof Nansens Institutt, January 2016, 41, <<https://www.fni.no/getfile.php/131711-1469868996/Filer/Publikasjoner/FNI-R0116.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁶⁸ Ødalen J., *Underwater Self-determination: Sea-level Rise and Deterritorialized Small Island States*, 17(2) Ethics, Policy & Environment 2014, 225 – 226.

⁶⁹ Ross N. J., *Climate Change Risks to Representative Government in Kiribat*, (2014) 2 New Zealand Association of Comparative Law Yearbook, 2015, 91; Pansieri F., *United Nations Deputy High Commissioner for Human Rights, Address to the Full Day Discussion on Human Rights and Climate Change, Full-Day Discussion on Human Rights and Climate Change*, Palais des Nations, Geneva, 6 March 2015; Muller P. H., *National Communication regarding the Relationship Between Human Rights & The Impacts of Climate Change, Permanent Mission of the Republic of the Marshall Islands to the United Nations*, submission to the United Nations Human Rights Council, 31 December 2008, 10.

⁷⁰ Gillot et al v. France, HRC, 2000, CCPR/C/75/D/932/2000, 13.16; Brilmayer L., *Secession and Self-Determination: A Territorial Interpretation*, 16 Yale Journal of International Law, 1991, 198; Crawford J. R., *The Creation of States in International Law*, Clarendon Press, Oxford, 2006, 124–125.

⁷¹ UNESCO, International Meeting of Experts on further study of the concept of the rights of peoples: UNESCO, Final Report and Recommendations SHS-89/CONF.602/7, November 1989, Paris, 22–30.

ეთნიკური თვალსაზრისით კირიბატის რესპუბლიკის, მარშალის კუნძულებისა და ტუვალუს მოსახლეობა ძალიან ერთგვაროვანია,⁷² დაახლოებით იგივე სურათია მალდივების რესპუბლიკაშიც.⁷³ ამ კუნძულოვან სახელმწიფოებზე განსახლებულ მოსახლეობას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რომელზეც UNESCO-ს მიერ შემოთავაზებულ განმარტებამია საუბარი. ის ფაქტი, რომ თავად მოსახლეობა „ხალხად“ აღიქვამს თავს და ამას სახელმწიფოებრიობის საშუალებით გამოხატავს, უდავოა. შესაბამისად, იმას რომ კუნძულოვანი სახელმწიფოების მკვიდრნი განიმარტებიან, როგორც „ხალხი“ უფრო ღრმა ანალიზი არ სჭირდება. თუმცა, შესაძლოა წამოიჭრას იდეა, რომ სხვა სახელმწიფოში გადასახლების შემდგომ ეს ხალხი კარგავს სტატუსს და ხდება ამ სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის 27-ე მუხლის⁷⁴ გაგებით.

არ არსებობს უმცირესობების ერთიანი განმარტება და ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.⁷⁵ თუმცა, ზოგადი განმარტების თანახმად, „უმცირესობა“ ეს არის ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა მოსახლეობის დანარჩენ ნაწილზე, მოცემულ სახელმწიფოში იკავებს არადომინანტ პოზიციას, რომლის წევრებსაც მოსახლეობის დარჩენილი ნაწილისგან განსხვავებით აკავშირებს ერთგვარი ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები და რომლებიც, თუნდაც ნაგულისხმევად, გამოხატავენ სოლიდარობას მათი კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის შენარჩუნებისთვის.⁷⁶ ამ განმარტებიდან ცალსახაა, რომ „ხალხსა“ და „უმცირესობას“ შორის მთავარ განმასხვავებელ ფაქტორად იკვეთება მხოლოდ რაოდენობა, იმის ფონზე, რომ სამართლებრივად ეს ორი ინსტიტუტი უფლებამოსილებათა განსხვავებულ პაკეტს ფლობს. უმცირესობებისგან განსხვავებით, ხალხს თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის პროცესში შეუძლია შექმნას ახალი

⁷² National Statistics Office, 2015 Population and Housing Census: Volume 1: Management Report and Basic Tables, Ministry of Finance of Kiribati, September 2016, 32, 52, 56; The World Factbook, Central Intelligence Agency of The Marshall Islands, < <https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/marshall-islands/> >, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020]; Secretariat of the Pacific Community, Tuvalu – Tuvalu Population and Housing Census 2012, Pacific Data Library, 14 July 2016, <https://pacificdata.org/data/dataset/spc_tuv_2012_phc_v01_m>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

⁷³ National Bureau of Statistics of Maldives, Statistical Release 1: Population and Households, Resident Population by Sex, Nationality and Locality, Ministry of National Planning and Infrastructure, 2014, <<http://statisticsmaldives.gov.mv/>>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

⁷⁴ 27-ე მუხლის დანაწესი „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა.“

⁷⁵ United Nations Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), *Minority Rights: International Standards and Guidance for Implementation*, 2010, HR/PUB/10/3, 2, <<https://www.refworld.org/docid/4db80ca52.html>>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

⁷⁶ Capotorti F., *Human Rights Study Series 5: Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities*, United Nations, New York, 1991, 568.

სახელმწიფო ან სახელმწიფოს შიგნით ისარგებლოს განსაკუთრებული, ავტონომიური სტატუსით და განსაზღვროს მისი სოციალური და კულტურული განვითარების ხარისხი.⁷⁷

თუ ამ ორი ინსტიტუტის შედარებისას მხოლოდ რიცხობრივ რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში, ძალიან რთული იქნება იმის მტკიცება, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობა გადასახლების შემდეგ, დანიშნულების სახელმწიფოში შეძლებს თვითგამორკვევის უფლების შენარჩუნებას. ამასთან, თუ საკითხს მხოლოდ ასე ზედაპირულად შევხედავთ, ვერ გავავლებთ მიჯნას კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობასა და იმ მიგრანტებს შორის, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოდან ჩამოვიდნენ დანიშნულების სახელმწიფოში, ამ უკანასკნელის საიმიგრაციო პოლიტიკის საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობის შემთხვევაში მხედველობაში მივიღოთ ის განსაკუთრებული და საგამონაკლისო გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია მათ იძულებით გადასახლებასთან. ამასთან, ამ სახის გადასახლება ეხება სახელმწიფოს მთლიან მოსახლეობას და არა მის რომელიმე ნაწილს და რაც ყველაზე მთავარია, კუნძულოვანი სახელმწიფოების მოსახლეობა, მათი სახელმწიფოებრიობიდან გამომდინარე, უკვე არის განსაზღვრული, როგორც „ხალხი“ და მხოლოდ გადასახლების ფაქტს ამ სამართლებრივი სტატუსის შეცვლა არ შეუძლია.

4.2. თვითგამორკვევის უფლება, როგორც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საფუძველი

კუნძულოვანი სახელმწიფოების ხალხებს თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის პროცესში უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ მათი პოლიტიკური სტატუსი, რასაც ისინი სახელმწიფოებრიობის საშუალებით ახდენენ. ამასთან, ყველა სახელმწიფოს აქვს გადარჩენის ფუნდამენტური უფლება, რაც გამოხატავს სახელმწიფოთა განგრძობადობის პრეზუმფციას.⁷⁸ უფრო ზუსტად, მას შემდეგ რაც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართალსუბიექტუნარიანობა დადგინდება მას უწყვეტად უნარჩუნდება სრული სუვერენიტეტი.⁷⁹

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს პატივი სცენ და ხელი შეუწყონ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას.⁸⁰ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების როლი უდავოა სახელმწიფოთა

⁷⁷ Ross N. J., *Low-Lying States, Climate Change-Induced Relocation, and the Collective Right to Self-Determination*, Victoria University of Wellington, 2019, 48-55.

⁷⁸ *Legality of the Threat of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Rep., 08 July 1996, 263.

⁷⁹ Delaney R., *De-recognition of States: A Different Approach to Failed States*, Fall/Winter Stanford Journal of International Relations, 2008, 11; Kreijen G., *State Failure, Sovereignty and Effectiveness*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2004, 37;

⁸⁰ ICCPR, Article 1(3); ICESCR, Article 1(3).

ფორმირების პროცესშიც, ვინაიდან გარკვეულ შემთხვევებში ამ უფლების რეალიზაციის მნიშვნელობამ გადაფარა სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი კრიტერიუმების არ არსებობის ფაქტი.⁸¹ ამის მაგალითად გამოდგება სულ მცირე საქართველოს და მოლდოვის შემთხვევა, რომლებიც განიცდიდნენ ეფექტიანი მთავრობისა და საკუთარ ტერიტორიაზე სრული სუვერენიტეტის განხორციელების შესაძლებლობის დეფიციტს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი გახდნენ სახელმწიფოები არა რაიმე საგამონაკლისო წესზე დაყრდნობით, არამედ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შედეგად.⁸²

შესაბამისად, თვითგამორკვევის უფლება შესაძლოა ერთგვარი სამართლებრივად მაკომპენსირებელი გარემოება იყოს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება არ გვაქვს სახეზე. ამ უფლების ძალით, კუნძულოვანი სახელმწიფოების ხალხთა სრული გადასახლების საჭიროების შემთხვევაშიც კი მხოლოდ ეს უკანასკნელნი არიან უფლებამოსილნი განსაზღვრონ სურთ თუ არა განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი.

ამ დაშვებას ადასტურებს ის გარემოება, რომ კოლონიზაციის შემდგომი პერიოდისგან განსხვავებით, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი არ არის კონკრეტული ტერიტორიული ბაზისის არსებობა.⁸³ უფრო ზუსტად, კოლონიზაციის პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც მთავარი აქცენტი ტერიტორიაზე და მასთან დაკავშირებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე კეთდებოდა, თანამედროვე მიდგომა უფლების ამოსავალ წერტილად განიხილავს ხალხს. შედეგად, თვითგამორკვევის უფლება ეკუთვნის ხალხს და არა ხალხს, რომელიც განსახლებულია კონკრეტულ ტერიტორიაზე.⁸⁴ მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ გაერო-ს დეკლარაციაც აგრძელებს ამ მიდგომას და ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე მკვიდრ მოსახლეობას წარსულში წაერთვა ტერიტორია, ისინი კვლავ სარგებლობენ თვითგამორკვევის უფლებით.⁸⁵ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩადირული კუნძულოვანი სახელმწიფოების ხალხებს, ისევე როგორც მკვიდრ მოსახლეობას, შეუძლია შეინარჩუნოს თვითგამორკვევის უფლება ტერიტორიული ბაზისის დაკარგვის შემდგომაც კი. იმ ვითარებაში, როდესაც კუნძულოვანი სახელმწიფოები ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად, ამ მიზნით აშენებენ ხელოვნურ კუნძულებს,

⁸¹ Raič D., *Statehood and the Law of Self-Determination*, Kluwer Law International, The Hague, 2002, 409.

⁸² *Ibid*, 406, 441; Stoutenburg J. G., *When Do States Disappear? Thresholds for Effective Statehood and the Continued Recognition of Deterritorialized Island States*, Cambridge University Press, Cambridge, 2013, 67.

⁸³ Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo, Advisory Opinion, General List No. 141, ICJ, 22 July 2010, Separate Opinion of Judge Trindade, 150-151.

⁸⁴ ICCPR, Article 1(1); IESCR, Article 1(1).

⁸⁵ *United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples*, GA Res 61/295, A/Res/61/295, 2007, Preamble, Article 3, https://www.un.org/development/desa/indigenouspeoples/wp-content/uploads/sites/19/2018/11/UNDRIP_E_web.pdf, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

ახალ სოფლებს, ყიდულობენ სახმელეთო ტერიტორიას სხვა სახელმწიფოებისგან, აწარმოებენ მოლაპარაკებებს მუშახელის კვოტებთან დაკავშირებით და აშკარად აფიქსირებენ ნებას, განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი, სხვა სახელმწიფოების მხრიდან ამ სახელმწიფოების „აღიარების გამოხმობა“, შესაძლოა ჩაითვალოს მათი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციისთვის ხელის შეშლად და ამ პროცესში ჩარევად.⁸⁶

5. ხელოვნური კუნძულები და კუნძულოვანი სახელმწიფოების სახელმწიფოებრიობა

შესაძლოა თუ არა ხელოვნური კუნძულების აგება განვიხილოთ სახელმწიფოს არსებობისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - ტერიტორიის გაქრობისგან დაცვის საშუალებად?

კუნძულოვანი სახელმწიფოების არსებობის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთ გამოსავლად ხშირ შემთხვევაში სახელდება ხელოვნური კუნძულების აგების შესაძლებლობა.⁸⁷ არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამგვარი კუნძულების აგება შესაძლებელია.⁸⁸ მეორე მხრივ, ყურადსაღებია, რამდენად მიიჩნევენ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ხელოვნურ კუნძულებს სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილად.

საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია 121-ე მუხლის პირველი პუნქტით განმარტავს, რომ კუნძული წარმოადგენს ბუნებრივად ფორმირებულ ხმელეთის ნაწილს, რომელიც ყველა მხრიდან შემოფარგლულია წყლის მასით და რომლის ზედაპირიც მოქცევის დროს არ იფარება წყლით.⁸⁹ შესაბამისად, კუნძულების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს ორი კუმულაციური ასპექტი, ერთი მხრივ, კუნძულის სახმელეთო ზედაპირი მუდმივად უნდა რჩებოდეს წყლის ზემოთ და მეორე მხრივ, ხმელეთის ფორმირება უნდა იყოს ბუნებრივი პროცესების შედეგი.⁹⁰ ამის საპირისპიროდ, ხელოვნური კუნძული წარმოადგენს ადამიანის ჩარევის შედეგად ფორმირებულ ტერიტორიას, რომელიც შემოფარგლულია წყლით და

⁸⁶ *Case Concerning Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua, Nicaragua v. United States of America, Merits*, ICJ Rep., 27 June 1986, 108.

⁸⁷ Stoutenburg J. G., *Disappearing Island States in International Law*, Brill Publishers, Leiden, 2015, 169; Jain G., *The 21st Century Atlantis: The International Law of Statehood and Climate Change-Induced Loss of Territory*, 50 Stanford Journal of International Law 1, 2014, 47.

⁸⁸ Opening of the First Artificial Island Complex in Maldives: Crossroads, <<https://www.dreamingofmaldives.com/maldives-blog/opening-of-the-first-artificial-island-complex-in-maldives-crossroads/>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; L. Luxner, Raising the Maldives, Saudi Aramco World, May/Jun, 2009, <<https://archive.aramcoworld.com/issue/200903/raising.the.maldives.htm>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; Some of the World's Largest Man-Made Island, <<https://geology.com/satellite/artificial-islands-of-dubai/>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁸⁹ UNCLOS, Article 121(1).

⁹⁰ *Territorial and Maritime Dispute*, Nicaragua v Colombia, Judgment, ICJ Rep., 19 November 2012, 35-38.

მოქცევის დროს არ იფარება წყლის მასით.⁹¹ შედეგად, ხელოვნურ კუნძულებს კუნძულის სამართლებრივი განმარტების დასაკმაყოფილებლად ერთი ასპექტი - ბუნებრივად ფორმირების ფაქტი აკლიათ.⁹²

მთავარი სამართლებრივი გარემოება, რომელიც კუნძულებსა და ხელოვნურ კუნძულებს განასხვავებს და რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კლიმატის ცვლილების შედეგად ჩადირულ სახელმწიფოთა მდგომარეობაზე, არის საზღვაო ზონების ფორმირებისა და მათზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. კერძოდ, საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი შესაძლებელს ხდის, რომ კუნძულებს გააჩნდეთ ტერიტორიული ზღვა, მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი. ამის საპირისპიროდ, მე-60 მუხლის მე-8 პარაგრაფსა და მე-80 მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე განთავსებული ხელოვნური კუნძულები არ ახდენენ გავლენას საზღვაო სივრცის დელიმიტაციაზე და შესაბამისად არ გააჩნიათ საკუთარი საზღვაო ზონები. თუმცა, ეს დებულებები თავისთავად არ ნიშნავს, რომ ხელოვნური კუნძულები არ შეიძლება განიხილებოდეს სახელმწიფოს ტერიტორიად.

5.1. სახელმწიფოებრიობა ტერიტორიულ ზღვაში აშენებული ხელოვნური კუნძულების კონტექსტში

სანაპირო სახელმწიფო მის შიდა წყლებს მიღმა 12 საზღვაო მილის სიგანეზე არსებულ საწყლო ტერიტორიაზე - ტერიტორიულ ზღვაზე ახორციელებს სუვერენიტეტს.⁹³ რაც თავისთავად გულისხმობს სხვა სახელმწიფოების მხრიდან ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის განხორციელების აღკვეთის შესაძლებლობას.⁹⁴ ერთადერთი ვითარება, როდესაც სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტი მის ტერიტორიულ ზღვაზე იზღუდება განმტკიცებულია საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის მე-17 მუხლში და წარმოადგენს მშვიდობიანი გავლის უფლებას.⁹⁵ შესაბამისად, სანაპირო სახელმწიფოს შეუზღუდავი სუვერენიტეტი ვრცელდება ტერიტორიულ ზღვაში განლაგებულ ხელოვნურ კუნძულებზეც.

⁹¹ Elferink A. G. O., *Artificial Islands, Installations and Structures*, 3 Max Planck Encyclopedia of Public International Law 2013, <<https://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e247>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁹² Ravin M., *Law of the Sea: Maritime Boundaries and Dispute Settlement Mechanisms*, 23 United Nations-The Nippon Foundation 2005, <https://www.un.org/depts/los/nippon/unnnff_programme_home/fellows_pages/fellows_papers/mom_0506_cam_bodia_itlos.pdf>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

⁹³ UNCLOS, Articles 2; 3.

⁹⁴ Kisk J., *The Law of International Spaces*, Sijthoff, Leiden, 1973, 52-53.

⁹⁵ UNCLOS, Chapter III.

საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია დუმს ტერიტორიულ ზღვაში აგებული ხელოვნური კუნძულების სამართლებრივ სტატუსზე. თუმცა, კონვენციის პრეამბულა განამტკიცებს, რომ შემთხვევები, რომლებიც არ რეგულირდება კონვენციის დებულებებით, უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.⁹⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოვნური კუნძული აგებულია სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში, იგი შესაძლოა გავუტოლოთ აკრეციას, რომელიც განიმარტება, როგორც ბუნებრივი პროცესების შედეგად ხმელეთის ფორმის ცვლილება.⁹⁷ აკრეციის შემთხვევაში სახელმწიფოების სუვერენიტეტი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ვრცელდება ხმელეთის ახლად ფორმირებულ ნაწილზეც.⁹⁸ ეს სამართლებრივი შედეგი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება ყველა იმ ფაქტზე, რომელიც სახელმწიფოსსავე სუვერენიტეტის ფარგლებში ხდება.⁹⁹ არსებული მიდგომა ცხადყოფს, რომ აკრეციის შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, არა ხმელეთის ბუნებრივი პროცესების შედეგად, სანაპიროსთან სიახლოვეს ფორმირების ფაქტს, არამედ ხმელეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ფარგლებში ფორმირების ასპექტს. შესაბამისად, ხელოვნური კუნძულების ადამიანის ჩარევის შედეგად ფორმირების ფაქტი ვერ შეცვლის მის ტერიტორიულ ბუნებას, როდესაც ხელოვნური კუნძულის აგება ხდება სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის ფარგლებში - სანაპიროს სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში. ამ დაშვებას მოწმობს სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომლებიც პერმანენტულად ეწევიან სახელმწიფოს სანაპიროსა და ამ ზოლთან მიმდებარე ზონის რეკლამაციას, თუმცა, ამ სახით შეძენილი ტერიტორიები არასდროს გამხდარა დავის საგანი,¹⁰⁰ თუ არ ჩავთვლით მაღაიზიის სარჩელს სინგაპურის მიერ განხორციელებულ სარეკლამაციო ქმედებებზე. სარჩელი ეხებოდა არა თავად შედეგის ტერიტორიულ ბუნებას, არამედ ამ პროცესის გავლენას მაღაიზიის გარემოსა და სანაოსნო პირობებზე.¹⁰¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ კორფუს არხის საქმეში, მოსამართლე ალვარესმა, მის დამოუკიდებელ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფო ტერიტორია მოიცავს მათ

⁹⁶ UNCLOS, Preamble.

⁹⁷ Jennings R. Y., *The Acquisition of Territory in International Law*, Manchester University Press, Manchester, 1967, 6-7.

⁹⁸ Shaw M. N., *Territory in International Law*, 13 Netherlands Yearbook of International Law 1982, 81.

⁹⁹ Schwarzenberger G., *Title to Territory: Response to a Challenge*, 51(2) American Journal of International Law 1957, 313; *Territorial and Maritime Dispute*, Nicaragua v Colombia, Judgment, ICJ Rep., 19 November 2012, 26.

¹⁰⁰ Land Reclamation in the Netherlands 1300 v. 2000, July 2, 2017, <<https://brilliantmaps.com/netherlands-land-reclamation/>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; A Brief History of Land Reclamation in Mumbai, India, <<https://theculturetrip.com/asia/india/articles/a-brief-history-of-land-reclamation-in-mumbai-india/>> [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; The Role of Reclamation in Hong Kong Development, <https://www.cedd.gov.hk/filemanager/eng/content_954/Info_Sheet3.pdf>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020]; Land Reclamation Benefits in Nigeria, <<https://www.urbangateway.org/content/news/land-reclamation-benefits-nigeria>> [25.09.2020].

¹⁰¹ *Case Concerning Land Reclamation by Singapore in and around the Straits of Johor*, Malaysia. v. Singapore, ITLOS, Case No.12, Request for Provisional Measures by Malaysia, September 4, 2003, 12-13.

შორის ხელოვნურ კუნძულებსაც.¹⁰² ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დაშვება, რომ სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში აგებული ხელოვნური კუნძულები ხასიათდებიან ტერიტორიული ბუნებით და ისინი შესაძლოა შეადგენდნენ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს.

6. საზღვაო ზონების ცვლილება - ზღვის დონის მატებით გამოწვეული საფრთხე სახელმწიფოებისთვის

ზღვის დონის მატების შედეგად არსებულ საზღვაო მართლწესრიგში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები საჭიროს ხდის გარკვეული ღონისძიებების გატარებას, სანამ მთელი მსოფლიო გააცნობიერებს, რომ მათ ირგვლივ სახელმწიფოები პირდაპირი მნიშვნელობით იძირებიან და ყოველგვარი სამართლებრივი და ეკონომიკური რესურსის გარეშე რჩებიან. კლიმატის ცვლილების საკითხზე მთავრობათაშორისი პანელის მეხუთე ანგარიშის თანახმად, 2100 წლისთვის ზღვის დონე 98 სმ-ით მოიმატებს, ამასთან საგულისხმოა, რომ ამ ციფრის ცვლილება შესაძლოა გამოიწვიოს გრენლანდიასა და ანტარქტიდაზე ყინულის დნობის პროცესმა.¹⁰³ ზღვის დონის ეს მასშტაბიანი მატება, საფრთხის შემცველია არა მხოლოდ კუნძულოვანი სახელმწიფოებისთვის, რომელთა არსებობის საკითხი ექვევქვემ დგება, არამედ სხვა, დაბალი სანაპირო ზოლის მქონე სახელმწიფოებისთვისაც. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი გარემოება, რომელიც შესაძლოა წარმოშვას ზღვის დონის ამ მასშტაბის მატებამ დაკავშირებულია საზღვაო ზონების ცვლილებასთან და შესაბამისად სახელმწიფოთა შორის საზღვაო სივრცის დელიმიტაციის საკითხზე გაზრდილ სარჩელებთან.¹⁰⁴

სახელმწიფო საზღვაო ზონების განსაზღვრა დამოკიდებულია საწყის ხაზებზე, რომელიც შესაძლოა იყოს ჩვეულებრივი ან სწორი.¹⁰⁵ ჩვენი მსჯელობისთვის სამართლებრივად არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საწყისი ხაზების რომელი ფორმაა გამოყენებული, მთავარი ის არის, რომ თუ საწყისი ხაზების ათვლის სათავედ ხმელეთის კონკრეტული წერტილებია გამოყენებული და არა შესაბამისი კოორდინატები, ზღვის დონის მატების შედეგად ეს საწყისი ხაზები აუცილებლად შეიცვლის ფორმას. საწყისი ხაზის ცვლილება კი გამოიწვევს ყველა იმ საზღვაო ზონის ცვლილებას, რომელიც ამ ხაზებიდან აითვლება.¹⁰⁶ ამასთან, ზღვის დონის მატებამ,

¹⁰² *Corfu Channel Case*, United Kingdom v. Albania, Merits, ICJ Rep., 15 December 1949, Separate Opinion by Judge A. Alvarez, 43.

¹⁰³ Intergovernmental Panel on Climate Change, *Climate Change 2013: The Physical Science Basis*. Working Group I Contribution to the Fifth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change, Cambridge, United Kingdom, Cambridge University Press, 2013, 56.

¹⁰⁴ Bird E., Prescott J. R. V., *Rising Global Sea Levels and National Maritime Claims*, Marine Policy Reports, 1989, 177-196; Caron D. D., *When Law Makes Climate Change Worse: Rethinking the Law of Baselines in Light of Rising Sea Level*, Ecology Law Quarterly, 1990, 621.

¹⁰⁵ UNCLOS, Articles 5, 7.

¹⁰⁶ UNCLOS, Articles 3; 33; 57; 76(1).

შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი კუნძულების ჩადირვა, რომლებსაც თავადაც გააჩნიათ საზღვაო ზონები, ან იმ სახის ამაღლებების წყლის მასით დაფარვა,¹⁰⁷ რომლებსაც სწორი საწყისი ხაზების გასავლებად იყენებდნენ,¹⁰⁸ რაც სრულიად ცვლის არსებულ ვითარებას.

განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აყენებს სახმელეთო ტერიტორიის ნაწილის გაქრობის ფაქტი კუნძულოვან სახელმწიფოებს, რომელთა სახელმწიფო ტერიტორიის სრულად ჩადირვის შედეგად პრაქტიკულად ქრება მათი საზღვაო ზონები და შესაბამისად, ამ ზონებზე არსებული სხვადასხვა სახის იურისდიქცია. ამის დაშვება კი გამოიწვევს იმას, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოები რჩებიან ყოველგვარი ეკონომიკური რესურსის გარეშე, რაც სახელმწიფო ტერიტორიის სახმელეთო ნაწილის დაკარგვის მიუხედავად, შესაძლოა მიღებულ იქნას საწყლო ტერიტორიიდან.¹⁰⁹ რა ფორმითაც არ უნდა განაგრძოს ჩადირულმა კუნძულოვანმა სახელმწიფომ სამართლებრივი არსებობა, ყველა ვითარებაში საჭიროებს ეკონომიკურ ბაზისს, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სწორედ საწყლო ტერიტორიებზე გადის.

6.1. საზღვაო ზონების შენარჩუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები

როგორც წესი, საწყის ხაზებად მიიჩნევა ხაზები, რომლებიც დატანილია შესაბამის რუკაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რუკა ამ შემთხვევაში არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საწყისი ხაზების მდებარეობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ფაქტობრივად ხაზების მდებარეობა იცვლება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარმა განმარტებამ შესაძლოა მოგვცეს განსხვავებული ფაქტობრივი და სამართლებრივი სურათი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კლიმატის ცვლილების შედეგად ზღვის დონის მატებით გამოწვეულ პროცესებზე გვაქვს საუბარი. შესაძლებელია, რომ ფაქტობრივად 30 სანტიმეტრიანი ცვლილება ჩვეულებრივი საწყისი ხაზების შემთხვევაში არაფერს ცვლიდეს, თუმცა თუკი ამ ცვლილების შედეგად იფარება ის ამაღლება, რომელიც სწორი საწყისი ხაზის ათვლის სათავედ იყო მიჩნეული, ეს მცირე სხვაობა სამართლებრივი თვალსაზრისით შესაძლოა საზღვაო ზონის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვასთან იყოს დაკავშირებული.

საწყისი ხაზის მნიშვნელობას განაპირობებს მისი, როგორც კავშირის აღქმა სახმელეთო და საწყლო ტერიტორიებს შორის, ვინაიდან ხმელეთზე სუვერენიტეტი აძლევს სახელმწიფოს საწყის ხაზს მიღმა საზღვაო ზონების ფორმირების და

¹⁰⁷ UNCLOS, Article 121.

¹⁰⁸ UNCLOS, Article 7.

¹⁰⁹ Rayfuse R., *Sea Level Rise and Maritime Zones: Preserving the Entitlements of "Disappearing" States* in: Gerrard M. B., Wannier G. E., *Threatened Island Nations: Legal Implications of Rising Seas and a Changing Climate*, Cambridge University Press, 2013, 167– 191.

შესაბამისი იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას.¹¹⁰ ამასთან, საწყის ხაზებს აქვთ სამმაგი დატვირთვა. კერძოდ, საწყისი ხაზები განსაზღვრვენ სახელმწიფოს შიდა წყლების მოცულობას, და იმის მიუხედავად, რომ შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა ორივე ექვევს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ, შიდა წყლების სუვერენული ბუნება არსებითად განსხვავებული და შეუზღუდავია სანაპირო სახელმწიფოსთვის.¹¹¹ საწყისი ხაზებიდან ათვლება ყველა საზღვაო ზონა და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საწყის ხაზებზე დაყრდნობით რეგულირდება არის ორ სახელმწიფოს შორის საზღვაო ზონების დელიმიტაციის საკითხი.¹¹² საწყისი ხაზების მრავალმნიშვნელოვანი ბუნებიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ რუკაზე ასახული საწყისი ხაზები არ ემთხვევა რეალობას, გამხდარა სამართლებრივი მსჯელობის საგანი.¹¹³

ამ საკითხზე არსებული სახელმწიფოთა პრაქტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი მსჯელობების გათვალისწინებით დადგინდა, რომ კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული ჩვეულებრივი საწყისი ხაზები არ არის პერმანენტული ხასიათის და იგი ადაპტირდება შეცვლილ ფაქტობრივ გარემოებებთან.¹¹⁴ რაც იმას ნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად სახელმწიფოს მიერ სახმელეთო ტერიტორიის დაკარგვა პირდაპირპროპორციულად აისახება საზღვაო ზონების სახმელეთო ტერიტორიისკენ გადაწევაზე და შესაბამისად, შეიცვლება ამ ხაზებიდან ათვლილი საზღვაო ზონების მოცულობაც.¹¹⁵

ზემოაღნიშნული ცვლილებების სამართლებრივი მოწესრიგების მიზნებისთვის არსებობს ორგვარი მიდგომა. კერძოდ, მოხდეს სანაპირო სახელმწიფოს საწყისი ხაზების შენარჩუნება იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი ასახულია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებულ მსხვილმასშტაბიან რუკაზე, ან მოხდეს სახელმწიფოს საზღვაო ზონების გარე საზღვრის შენარჩუნება არსებულ მდგომარეობაში.¹¹⁶ თუმცა, ორივე შემთხვევაში ხდება გადახვევა საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციიდან.

¹¹⁰ *North Sea Continental Shelf Cases*, Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands, ICJ Rep., 20 February 1969, 92.

¹¹¹ UNCLOS, Article 8(1) (2).

¹¹² *Case concerning Maritime Delimitation in the Black Sea*, Romania v. Ukraine, ICJ Rep., 3 February 2009, 108.

¹¹³ *Case concerning Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea*, Nicaragua v. Honduras, ICJ Rep., 8 October 2007; Award in the arbitration regarding the delimitation of the maritime boundary between Guyana and Suriname, Guyana v. Suriname, Permanent Court of Arbitration, 17 September 2007.

¹¹⁴ International Law Association, Report of Baselines under the International law of the Sea, Sofia Conference, 2012, 28.

¹¹⁵ Jesus J. L., *Rocks, New-born Islands, Sea Level Rise and Maritime Space* in: Frowein J. et al. *Negotiating For Peace – Liber Amicorum Tono Eitel*, Springer, Berlin/Heidelberg, 2003, 602.

¹¹⁶ International Law Association, *Report on International Law and Sea Level Rise*, Johannesburg Conference, 2016.

6.2. შენარჩუნებული საზღვაო ზონები - ჩვეულებითი სამართლის ნორმა ფორმირების პროცესში

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებების საჭიროება დგას, კონვენციური ცვლილებები საკმაოდ რთულ პროცედურას ითვალისწინებს.¹¹⁷ კონვენციის მასშტაბურობიდან გამომდინარე და მისი მიღების ისტორიის გათვალისწინებით ამგვარი ცვლილებების პერსპექტივა საკმაოდ მცირეა. თუმცა, არსებული პრაქტიკა შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვეულებითი სამართლის ნორმის ფორმირების პირველ ნიშნად, რომელიც ასევე წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროს.¹¹⁸

2015 წლის ივლისში პოლინეზიური სახელმწიფოების შვიდმა ლიდერმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც განაცხადეს რომ კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ზღვის დონის მატების ფონზე და იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოებისთვის მათი საწყლო რესურსები, მუდმივად შეინარჩუნებენ საზღვაო სამართლის კონვენციის შესაბამისად განსაზღვრულ საწყის ხაზებს და მათზე კლიმატის ცვლილების შედეგები ვერ მოახდენს გავლენას.¹¹⁹

ამასთან, 2018 წელს წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოების ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ოკეანის ცოცხალი რესურსების რეწვის თაობაზე, რომლის მე-8 მუხლში კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის შესაბამისად დადგენილ საწყის ხაზებს სამართლებრივად ცნობენ, როგორც მუდმივად მოქმედ საწყის ხაზებს.¹²⁰ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც ამ ნაწილში იკვეთება არის სახელმწიფოთა პრაქტიკა, ეროვნული კანონმდებლობის დონეზე, ცალმხრივად გამოაცხადონ საწყისი ხაზების მუდმივობა.¹²¹ ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ამ სახის ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს. მით უფრო, გასათვალისწინებელია ამ სახის პრაქტიკაში თემისადმი ყველაზე მეტად მოწყვლადი სახელმწიფოების მონაწილეობის მნიშვნელობა.¹²² კუნძულოვანი სახელმწიფოები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზღვის დონის მატების შედეგებს ყველაზე მეტად ცდიან საკუთარ თავზე.

¹¹⁷ UNCLOS, Articles 312, 313, 316.

¹¹⁸ *Supra* note 52.

¹¹⁹ Taputapuātea Declaration on Climate Change, Polynesia Against Climate Change (P.A.C.T), Papeete, 16 July, 2015, <<https://www.samoagovt.ws/wp-content/uploads/2015/07/The-Polynesian-P.A.C.T.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

¹²⁰ Delap Commitment Reshaping the Future to Take Control of the Fisheries, 02 March 2018, <https://pnatuna.com/sites/default/files/Delap%20Commitment_2nd%20PNA%20Leaders%20Summit.pdf>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

¹²¹ International Law Association, Final Report on Baselines Under the International Law of the Sea, 2018, 17.

¹²² *North Sea Continental Shelf Cases*, Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands, ICJ Rep., 20 February 1969, 73–74.

ამასთან, ეჭვგარეშეა, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმის ფორმირებისთვის სახელმწიფო პრაქტიკას უნდა ახლდეს *opinion juris*, რომლის არსებობაც ამ ეტაპზე რთულად სამტკიცებელია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოკეანეთის სახელმწიფოთა ზემოხსენებული შეთანხმებები ამ დრომდე არავის გაუპროტესტებია, იმ შემთხვევაში თუ გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში მოხდება ამ საკითხზე რეზოლუციის შემუშავება და მას სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ, ნამდვილად იარსებებს მყარი საფუძველი საწყისი ხაზების მუდმივი ბუნების, როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმად მიჩნევისთვის.

7. ცესია, როგორც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საშუალება

ტერიტორიის გარეშე დარჩენილი სახელმწიფოებისთვის ყველაზე მარტივი და პირდაპირი გამოსავალი ახალი ტერიტორიის შეძენაა. კლიმატის ცვლილების შედეგად „ჩაძირულ“ სახელმწიფოებს ტერიტორიის შეძენის სამართლებრივად მიღებული ფორმებიდან ორი შესაძლებლობა აქვთ, რომელთაგან ერთი *terra nullius*-ის დაკავება და მასზე სუვერენიტეტის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი ტერიტორიები თანამედროვე მსოფლიოში აღარ არსებობს.¹²³ თუმცა, სახელმწიფოს ტერიტორიის ლეგიტიმურად შეძენის მეორე ვარიანტი - ცესია, საკმაოდ მიღებული პრაქტიკაა უახლეს საერთაშორისო სამართლებრივ ისტორიაში. ცესია სახელშეკრულებო ურთიერთობის გზით კონკრეტულ ტერიტორიაზე ერთი მხრივ, სუვერენიტეტის დათმობის, ხოლო მეორე მხრივ, შეძენის სამართლებრივი საშუალებაა და სუვერენული სახელმწიფოს თანმდევ უფლებას წარმოადგენს.¹²⁴ სწორედ ცესიის საშუალებით 1958 წელს ინდოეთმა და პაკისტანმა მიაღწიეს კონკრეტული ტერიტორიების გაცვლის შეთანხმებას.¹²⁵ ასევე, ცესიის გზით საფრანგეთმა ლუიზიანა,¹²⁶ ხოლო რუსეთმა ალასკა გადასცა ამერიკის შეერთებულ შტატებს.¹²⁷ ამგვარად, შესაძლებელია ჩაძირულმა სახელმწიფომ შეიძინოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოსგან, გადაასახლოს ამ ტერიტორიაზე მისი მოსახლეობა და განახორციელოს სუვერენიტეტი.

¹²³ Akerhurst's Modern Introduction to International law, Routledge, London, 7th edition, 2000, 148-150; Simsarian J., *The Acquisition Title to Terra Nullius*, 53 Political Science Quarterly 1938, 111-128.

¹²⁴ Dörr O., *Cession*, Max Planck Encyclopedias of International Law, 2013, <<https://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e1377>>, [ბოლოს ნანახია: 28.09.2020].

¹²⁵ *Agreement between India and Pakistan on Border Disputes*, 10 September 1958, New Delhi, <https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/IN%20PK_580910_Agreement%20between%20India%20and%20Pakistan%20on%20Border%20Disputes%20%28East%20Pakistan%29.pdf>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

¹²⁶ *Agreement on Cession of Louisiana*, 30 April 1803, Paris, <<https://www.loc.gov/collections/united-states-treaties-and-other-international-agreements/about-this-collection/bevans/b-fr-ust000007-0812.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

¹²⁷ *Agreement on Cession of Alaska*, 30 March 1867, Washington, <<https://www.loc.gov/collections/united-states-treaties-and-other-international-agreements/about-this-collection/bevans/b-su-ust000011-1216.pdf>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

ზემოაღნიშნული, სამართლებრივი თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართული საშუალებაა სახელმწიფოს ტრადიციული განმარტების შესასრულებლად, თუმცა, პრაქტიკულად რთულად აღსაქმელია სახელმწიფო, რომელიც დათანხმდება საკუთარი ტერიტორიის ნაწილზე სუვერენიტეტის დათმობას სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ. კირიბატის რესპუბლიკა გახდა პირველის სახელმწიფო, რომელმაც 2014 წელს ფიჯისგან 8.77 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა მიწა. ხაზგასასმელია, რომ შეთანხმება არ ითვალისწინებს შეძენილ ტერიტორიაზე კირიბატის რესპუბლიკის სუვერენიტეტის განხორციელების შესაძლებლობას და ძირითად მიზნად მიწის სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებას ისახავს.¹²⁸

7.1. რეპარაცია - სახელმწიფოს ტერიტორიის დათმობის სამართლებრივი ბერკეტი

თანამედროვე სამყაროში, ალბათ, არ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც საკუთარი ტერიტორიის ნაწილს დათმობს და სხვა სახელმწიფოს გადასცემს მასზე სუვერენიტეტს.¹²⁹ სახელმწიფო ტერიტორიასთან დაკავშირებული დავების სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, ეს მხოლოდ პირიქით შეიძლება მოხდეს.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლები მიუთითებენ სახელმწიფოთა ვალდებულებაზე საერთაშორისო სამართალდარღვევის შეწყვეტასთან ერთად¹³⁰ აღმოფხვრან საერთაშორისო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.¹³¹ იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზღვის დონისმატება, პირდაპირი შედეგია სახელმწიფოთა მიერ სითბური გაზების მაღალ მაჩვენებლიანი ემისიის, შესაძლებელია კუნძულოვანმა სახელმწიფოებმა, მათი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შეძლონ სითბური გაზების მაღალ მაჩვენებლიან ემისიაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს/სახელმწიფოებისგან ტერიტორიის მიღების გზით.

იმისთვის, რომ დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია ქმედება წარმოადგენდეს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას და ამასთან მიეწერებოდეს კონკრეტულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს.¹³² სითბური გაზების ემისიის შემცირების საერთაშორისო ვალდებულება სულ მცირე 189

¹²⁸ Ellesmoor J., Rosen Z., *Kiribati's Land Purchase in Fiji: Does It Make Sense?*, 11 January 2016, <<https://devpolicy.org/kitibatis-land-purchase-in-fiji-does-it-make-sense-20160111/>>, [ბოლოს ნანახია: 25.09.2020].

¹²⁹ Harrington A., *Is there a Right to Territory in International Law?*, in Smith J. (ed.), *Property and Sovereignty: Legal and Cultural Perspectives*, Abingdon, Routledge, 2016.

¹³⁰ International Law Commission, *Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts* (ARSIWA), November 2001, Article 30.

¹³¹ ARSIWA, Article 31; *Factory At Chorzów*, Germany v Poland, Judgment, Claim for Indemnity, Merits, Judgment No 13, PCIJ, 13 September 1928, 21.

¹³² ARSIWA, Article 2.

სახელმწიფოსთვის არსებობს, რომლებმაც მოახდინეს პარიზის შეთანხმების რატიფიკაცია.¹³³ ამ სახის ვალდებულება არსებობს დარჩენილი 18 სახელმწიფოსთვისაც, რომლებიც არიან პარიზის შეთანხმების ხელმომწერები, თუმცა, ჯერ არ მოუხდენიათ მისი რატიფიცირება. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ ვალდებულება, არ მოახდინონ სითბური გაზების იმ ხარისხის ემისია, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა პარიზის შეთანხმების ობიექტთან და მიზანთან.¹³⁴ შესაბამისად, საერთაშორისო ვალდებულება სულ მცირე 2015 წლიდან არსებობს.

ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ზიანის დადგომა არ არის აუცილებელი წინაპირობა სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების თაობაზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციის (შემდგომში - ARSIWA) 31-ე მუხლის ამოქმედებისთვის.¹³⁵ შესაბამისად, ის ფაქტი, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოების ტერიტორია ჯერ სრულიად არ დაფარულა წყლის მასით, არ გამორიცხავს მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, თუ კუნძულოვანი სახელმწიფოებს დავავალდებულებთ დაცდას მანამ, სანამ მათი ტერიტორია სრულიად დაიფარება წყლის მასით, რაც როგორც ზემოთმოცემული მსჯელობიდან ირკვევა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ სახელმწიფოებრიობას, ნიშნავს, რომ ისინი დაკარგავენ საფუძველს ამგვარი მოთხოვნის დაყენებისთვის, ვინაიდან დავის მხარე ამ შემთხვევაში, შესაძლოა იყოს მხოლოდ სახელმწიფო.¹³⁶ არსებობს მოსაზრება, რომ კუნძულოვანი სახელმწიფოებს ARSIWA-ს 31-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი შესაძლოა გაუჩნდეთ იმ მომენტიდან, რაც მეცნიერულად დადასტურდება მათი სახელმწიფო ტერიტორიების წყლის მასით დაფარვის გარდაუვალობა.¹³⁷ კლიმატის ცვლილების საკითხზე მთავრობათაშორისი პანელის ზემოაღნიშნული მე-5 ანგარიშის თანახმად, ეს მომენტი უკვე სახეზეა.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, თუ ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი საერთაშორისო ვალდებულების დარღვევაზე. კლიმატის ცვლილება და შესაბამისად, ზღვის დონის მატება ამ პროცესში ჩართული თითოეული სახელმწიფოს საქმიანობათა ერთობლიობის შედეგია, ARSIWA 47-ე მუხლი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში როდესაც კონკრეტულ საერთაშორისო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელია რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად, შესაძლებელია სარჩელი წარდგენილ იქნას თითოეულ მათგანთან მიმართებით, და შესაბამისად, კუნძულოვანი სახელმწიფოების წინაშე

¹³³ *United Nations Framework Convention on Climate Change* (UNFCCC), 4 November 2016.

¹³⁴ *Vienna Convention on the Law of Treaties*, United Nations, 23 May 1969, Article 18.

¹³⁵ *Rainbow Warrior Case*, New Zealand v. France, France-New Zealand Arbitration Tribunal, 30 April 1990, 266–267; International Law Commission, *Commentary on Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts*, 2001, 91-92.

¹³⁶ *Supra note 52*, Article 34 (1), <<https://www.ici-cij.org/en/statute>>, [ბოლოს ნანახია : 24.09.2020].

¹³⁷ Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014, 171.

შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელმაც დაარღვია არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება.¹³⁸

თუკი არსებობს საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც დაირღვა და ასევე, სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც პოტენციურად შეიძლება პასუხისმგებელნი იყოს ამ დარღვევისთვის, მაშინ საჭიროა განისაზღვროს თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ვალდებულების დარღვევის თანმდევი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა. კერძოდ, ნაშრომის მიზნებისთვის არსებითია, შესაძლოა თუ არა რეპარაციის შედეგად კუნძულოვან სახელმწიფოებს გადაეცეთ ტერიტორია, რომელზეც შემდგომ შეძლებენ სუვერენიტეტის განხორციელებას და ამ სახით სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას.

რეპარაცია შესაძლოა გამოიხატოს რესტიტუციაში, კომპენსაციასა ან/და სატისფაქციაში.¹³⁹ რესტიტუცია,¹⁴⁰ თავისი არსით, გულისხმობს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევამდე არსებული ვითარების აღდგენას და იგი განიხილება რეპარაციის პირველად ფორმად, ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია ან არსებითად არაპროპორციულია.¹⁴¹ ჩადირული კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევაში, სამწუხაროდ, სწორედ ეს ვითარება გვაქვს. კლიმატის ცვლილების საკითხზე მთავრობათაშორისი პანელის მე-5 ანგარიშის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარიზის შეთანხმების ყველა დებულება პირნათლად შესრულდება, არსებული ვითარება შეუძლებელს ხდის კუნძულოვანი სახელმწიფოების წყლის მასით დაფარვის პრევენციას. შესაბამისად, პირველადი მდგომარეობის აღდგენა, ანუ ჩადირული სახელმწიფოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ფიზიკურად შეუძლებელია. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია მდგომარეობის განსაკუთრებული ხასიათი და ვინაიდან 35-ე მუხლი ამას არ კრძალავს, შესაძლოა ჩადირული სახელმწიფო ტერიტორიის ნაცვლად რესტიტუციის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნას პასუხისმგებელი სახელმწიფოს მიერ გაღებული იმავე მოცულობის სხვა ტერიტორია.¹⁴²

¹³⁸ ARSIWA, Article 47; Verheyen R., *Climate Change Damage and International Law: Prevention Duties and State Responsibility*, Martinus Nijhoff Publishers, 2005, 257; Voigt Ch., *State Responsibility for Climate Change Damages*, 77 Nordic Journal of International Law 2008, 16; Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014, 82.

¹³⁹ ARSIWA, Article 34.

¹⁴⁰ ARSIWA, Article 35.

¹⁴¹ International Law Commission, *Commentary on Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts*, 2001, 98.

¹⁴² Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014, 169.

აღსანიშნავია, რომ მცირე, თუმცა, ამ სახის პრაქტიკა უკვე არსებობს და ძირითადად დაკავშირებულია მკვიდრი მოსახლეობის კონტექსტთან.¹⁴³ მკვიდრ მოსახლეობასთან მიმართებით, ამ სახის გადაწყვეტილებების მიღება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ხშირ შემთხვევაში მკვიდრი მოსახლეობის კავშირი იმდენად ღრმა არის ტერიტორიასთან და ტერიტორიის არსებობა იმდენად მნიშვნელოვანია მათი კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, რომ ამის აღსადგენად მხოლოდ ფულადი კომპენსაცია არ კმარა. ეს ასპექტი ძალიან კარგად ასახავს კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევის ანალოგიურ ხასიათს, ვინაიდან კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევაში საუბარია არა მხოლოდ მათი კულტურული ღირებულებების გაქრობის საფრთხეზე, არამედ მათი სახელმწიფოებრიობისა და იდენტობის გაქრობის გარდაუვალ მომენტზე.¹⁴⁴ შესაბამისად, მით უფრო, კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევაში რთულია იმის წარმოდგენა, რომ კომპენსაცია შესაძლოა იყოს რეპარაციის სწორი ფორმა.

დასკვნა.

სახელმწიფოები დარჩებიან ტერიტორიის გარეშე, ეს გარდაუვალია, თუმცა, როგორც ნაშრომში განვითარებული მსჯელობებიდან ირკვევა, მათი სახელმწიფოებრიობის გაქრობა გარდაუვალი არ არის.

„სახელმწიფოს“ მონტევიდეოს კონვენციისეული კრიტერიუმების კონტექსტში ნაშრომში განხილული გარემოებების ანალიზი შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ გარკვეულ შემთხვევებში, მონტევიდეოს კონვენციისეულ განმარტებაში მოცემული რომელიმე კრიტერიუმის ფაქტობრივად არ არსებობა არ აფერხებს სახელმწიფოს ფორმირების პროცესს და არ განიხილება, სახელმწიფოს არსებობის დასასრულად. ეს ასპექტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ე. წ. „შეუმდგარი სახელმწიფოების“ შემთხვევაში, რომელთა მთავრობები ვერ ახორციელებენ ტერიტორიისა და მოსახლეობის ეფექტიან კონტროლს და სახელმწიფოს მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფენ მინიმალური მომსახურებით. ის ფაქტი, რომ ტერიტორიისა და მოსახლეობის ეფექტიანი კონტროლის არ არსებობა არ არის გადაწყვეტი სახელმწიფოს არსებობის საკითხის შესაფასებლად, კარგად ჩანს დევნილი მთავრობების შემთხვევაშიც, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოება ხალხთა თვითგამორკვევის უფლების მხედველობაში მიღებით, ამ სახის მთავრობებს, როგორც ხალხის ნამდვილი ნების წარმომადგენლებს, აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ფუნქციები სხვა სახელმწიფოს

¹⁴³ United Nations General Assembly, *United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples* (UNDRIP): resolution/adopted by the General Assembly, 2 October 2007, A/RES/61/295; Centre for Minority Rights Development (Kenya) and Minority Rights Group International on behalf of Endorois Welfare Council v Kenya, 276/2003, African Commission on Human and Peoples' Rights, 4 February 2010, 209.

¹⁴⁴ Campbell J., *Climate Induced Community Relocation in the Pacific: The Meaning and Importance of Land* in McAdam J. (ed.), *Climate Change and Displacement: Multidisciplinary Perspectives*, Bloomsbury Publishing, London, 2010, 60–64.

ტერიტორიიდან. აქედან გამომდინარე, კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ უნივერსალური საერთაშორისო აღიარება, არიან გაერო-ს წევრი სახელმწიფოები და აქვთ „გადარჩენის ფუნდამენტური უფლება“¹⁴⁵ არ იქნება მართებული ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს სახელმწიფოს ტერიტორიის გაქრობა თავისთავად ნიშნავს ამ სახელმწიფოების არსებობის დასასრულს. საწინააღმდეგო მიდგომის მხარდაჭერა ნიშნავს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ძალიან ვიწროდ განმარტებას და საკითხისთვის მნიშვნელოვანი კონტექსტური ელემენტის უგულებელყოფას. ეს კონტექსტი კი, პირველ რიგში, უკავშირდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას, რომელიც კუნძულოვანი სახელმწიფოების ხალხებს უდავოდ აქვთ. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპი ეკუთვნის ხალხს და არ არის მხოლოდ და პირდაპირ დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან.

კუნძულოვან სახელმწიფოთა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ნაშრომში შემოთავაზებული ნებისმიერი ალტერნატივის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური რესურსის შენარჩუნება. კუნძულოვანი სახელმწიფოების შემთხვევაში, მათ ძირითად ეკონომიკურ ბაზისს ქმნის საწყლო ტერიტორიები და შესაბამისი სუვერენული უფლებები ტერიტორიული ზღვის მიღმა არსებულ საზღვაო ზონებზე. როგორი ფორმითაც არ უნდა განაგრძოს არსებობა კუნძულოვანმა სახელმწიფომ, ნებისმიერ შემთხვევაში, საზღვაო ზონებზე არსებული სუვერენული უფლებების შენარჩუნება არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. ამ ვითარებაში, საწყისი ხაზების არსებულ მდგომარეობაში შენარჩუნების ნაშრომში შემოთავაზებული მიდგომა იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ტერიტორიის გარეშე დარჩენილ კუნძულოვან სახელმწიფოთა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამ დაშვებას ამყარებს ნაშრომში განხილული მაგალითები, რომლებიც მიუთითებენ, რომ საწყისი ხაზების არსებულ მდგომარეობაში შენარჩუნების მცდელობები და შესაბამისი პრაქტიკა სახეზეა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სახელმწიფოს გარდა საწყლო ტერიტორიისა და შესაბამის საზღვაო ზონებზე არსებული სუვერენული უფლებების განხორციელების გზით მიღებული ეკონომიკური რესურსისა სჭირდება გარკვეული ტერიტორიული ბაზისი, რომელზეც სახელმწიფოს მოსახლეობის ნაწილი მაინც შეძლებს განსახლებას. იმის გათვალისწინებით, რომ განსახლებისთვის ვარგისი, რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტს მიღმა ტერიტორია, თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს და იმის მხედველობაში მიღებით, რომ რთულად წარმოსადგენია, რომელიმე სახელმწიფომ, ნებით, საკუთარი ტერიტორია და მასზე სუვერენიტეტი დათმოს, ნაშრომში შემოთავაზებული იყო „იძულებითი ცესიის“ შესაძლებლობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს ვსაუბრობთ, ტერიტორიის, როგორც რეპარაციის საგნად განხილვის სამართლებრივ შესაძლებლობაზე. თავის მხრივ, ის

¹⁴⁵ *Legality of the Threat of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Rep., 08 July 1996, 263.

გარემოება, რომ რთულია ერთმნიშვნელოვნად ითქვას, თუ რომელი სახელმწიფო შეიძლება იყოს პასუხისმგებელი კუნძულოვანი სახელმწიფოების ტერიტორიის წყლის მასით დაფარვაზე შესაძლოა, ერთი შეხედვით, არგუმენტის დამაჯერებლობას ექვეყნებ აყენებდეს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში მთავარია იმის აღიარება, რომ ტერიტორიის, როგორც რეპარაციის საგნად განხილვის შესაძლებლობა არსებობს. ასევე, მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი, პრაქტიკის გათვალისწინებით არსებობს ამ სახით რეპარაციის მოთხოვნის სამართლებრივი ბერკეტი. ის თუ კონკრეტულად, რომელი სახელმწიფო შეიძლება იყოს პასუხისმგებელი და რომელ სახელმწიფოს უნდა დაეკისროს ვალდებულება დაუთმოს საკუთარი ტერიტორიის ნაწილზე სუვერენიტეტი ჩადირულ, კუნძულოვან სახელმწიფოებს, არის შემდგომი სამართლებრივი მსჯელობის საგანი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ალტერნატიულ ვითარებაში, ხელოვნური კუნძულების აგების შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ, როგორც ტერიტორიის გარეშე დარჩენილ კუნძულოვან სახელმწიფოთა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი ერთია, ჩვენს დროში, პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოების სახმელეთო ტერიტორიის ნაწილი ყოველწლიურად იფარება წყლის მასით და ეს პროცესი შეუქცევადია. შესაბამისად, სახელმწიფოები ტერიტორიის გარეშე, წარმოადგენს რეალობას საერთაშორისო სამართლის უახლოესი მომავლიდან. თუმცა, არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ქმნის შესაძლებლობას, სახელმწიფოებმა კლასიკური გაგებით ტერიტორიის გარეშე, განაგრძონ არსებობა და შეინარჩუნონ სახელმწიფოებრიობა.

ლიტერატურა

1. Intergovernmental Panel on Climate Change, *Climate Change 2013: The Physical Science Basis. Working Group I Contribution to the Fifth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change*, Cambridge, United Kingdom, Cambridge University Press, 2013.
2. Nurse L. A., *Small Islands*, in V. R. Barros and others (eds) *Climate Change 2014: Impacts, Adaptation, and Vulnerability*, Cambridge University Press, Cambridge, United Kingdom and New York, NY, USA, 1618-1620;
3. Chu J., *Short-lived greenhouse gases cause centuries of sea-level rise*, NASA – Global Climate Change, January 12, 2017,
4. Hailbronner K., *Legal Aspects of the Unification of the Two German States*, 18 *European Journal of International Law* 1991, 18-44.
5. Güler A., *The Dissolution of Yugoslavia: The Triple Distrust System The Balkans*, Gumushane Universitesi Sosyal Bilimler Elektronik Dergisi, March 2016.

6. Dixon T., *Addressing the implications of rising sea levels for international law*, ODUMUNC 2020 Issue Brief for GA Sixth Committee (Legal), ODU Model United Nations Society,
7. Connell J., *Last days in the Carteret Islands? Climate change, livelihoods and migration on coral atolls*, Asia Pacific Viewpoint, Vol. 57, No. 1, April 2016,
8. Worland J., *The Leaders of These Sinking Countries Are Fighting to Stop Climate Change. Here's What the Rest of the World Can Learn*, TIME, June 13, 2019,
9. Österdahl I., *Relatively Failed, Troubled Statehood and International Law*, 2003, 14 Finnish Yearbook of International Law 49, 18 May 2005, 49;
10. Grant T. D., *Defining Statehood: The Montevideo Convention and its Discontents "Defining Statehood"*, Columbia Journal of Transnational Law, 1999, 37, 413.
11. Scholten H. J., *Statehood and State Extinction: Sea Level Rise and the Legal Challenges Faced by Low-Lying Island-States*, 2011, 12,
12. Shaw M. N., *International Law*, 6th edition, Cambridge University Press, 2008, 198,
13. Pellet A., *The Opinions of the Badinter Arbitration Committee: A Second Breath for the Self-Determination of Peoples*, 3 The European Journal of International Law 1992
14. Harris D., *Cases and Materials on International Law*, 7th edition, Sweet & Maxwell, 2010, 92,
15. Bantekas I. and Papastavridis E., *Concentrate International Law*, 3rd edition, Oxford University Press, 2010,
16. Winfield P. H., *The Foundations & the Future of International Law*, Cambridge University Press, 1941, 18;
17. Gross L., *The Peace of Westphalia, 1648–1948*, 42 American Journal of International Law 1948, 20.
18. Crawford J. R., *The Creation of States in International Law*, Clarendon Press, Oxford, 2006.
19. Lowe V., *International Law*, Oxford University Press, Hobach, Lefeber & Ribbelink, 2007.
20. Higgins R., *Problems and Process: International Law and How We Use It*, Clarendon Press, 1994, 40,
21. Shen J., *Sovereignty, Statehood, Self-Determination, And the Issue of Taiwan*, 15(5) American University International Law Review, 2000, 1126-27.
22. Kohen M. G., *La création d'Etats en droit international contemporain*, 4 Curso Euromediterráneo Banca de Derecho Internacional 2002, 617.
23. *Western Sahara*, Advisory Opinion, ICJ Rep. 12, 16th October 1975, United Nations; International Court of
24. Justice, 35-36.
25. K. Menkhaus, *Governance without Government in Somalia*, 31 (3) International Security 2006.
26. Kreijen G., *State Failure, Sovereignty and Effectiveness*, Martinus Nijhoff, 2004, 160.

27. *Libya: the Consequences of a failed state*, House of Commons Library, Briefing Paper, 18 May 2018.
28. Engel A., *Libya as a Failed State: Causes, Consequences, Options*, Research Notes 24, The Washington Institute, November 2014.
29. Halilovic I. et al, *FAILED STATES – How the United Nations should deal with them*, Vienna, 2012.
30. Akande D., *The Importance of Legal Criteria for Statehood: A Response to Jure Vidmar*, European Journal of International Law, August 7, 2013.
31. Jennings R., Watts A., *Oppenheim's International Law*, 9th edition, Longmans, United Kingdom, 1992, 150-54;
32. McAdam J., *Disappearing States, Statelessness and the Boundaries of International Law*, 2 University of New South Wales Law Research Paper 2010, 116.
33. Wong D., *Sovereignty Sunk? The Position of "Sinking States" at International Law*, 14 Melbourne Journal of International Law 2014.
34. Rotter M., „Government-in-Exile“ in R. Bernhardt (ed.), *Encyclopedia of Public International Law*, 2nd edition, Amsterdam, 1995, 608.
35. Talmon S., *Who is a legitimate government in exile? Towards normative criteria for governmental legitimacy in international law*, *The Reality of International Law*, Essays in Honour of Ian Brownlie, Oxford University Press 1999.
36. Pérez-Peña R., *European Countries Recognize Guaidó as Venezuela's Leader. Joining U.S.*, The New York Times, February 04, 2019.
37. Anderson S. R., *What Does It Mean for the United States to Recognize Juan Guaidó as Venezuela's President?*, Lawfare, February 01, 2019.
38. Talmon S., *Recognition of Governments in International Law: With Particular Reference to Governments in Exile*, Oxford University Press, Oxford/New York, 2001, 15-16.
39. Talmon S., *Who is a legitimate government in exile? Towards normative criteria for governmental legitimacy in international law*, *The Reality of International Law*, Essays in Honour of Ian Brownlie, Oxford University Press 1999, 499-407.
40. McAdam J., *Disappearing States, Statelessness and the Boundaries of International Law*, 2 University of New South Wales Law Research Paper 2010, 116.
41. Yamamoto L., Esteban M., *Vanishing Island States and Sovereignty*, 53 Ocean & Coastal Management 2010, 7.
42. Lee S., *Identity and Continuity of State: The Cases of the Baltic States and Korea*, 10 Korean University Law Review 2011, 152.
43. *Nanni v. Pace and the Sovereign Order of Malta*, 1935, 8 ILR 2, 4, Italian Court of Cassation; *Reparation for injuries suffered in the service of the Nations*, Advisory Opinion, ICJ Rep 174, 11 April 1949, 174-179.
44. Cox N., *The Continuing Question of Sovereignty and the Sovereign Military Order of Jerusalem, of Rhodes and of Malta*, 13 Australian International Law Journal 2006, 223-24.

45. McAdam J. et al., *International Law and Sea-Level Rise: Forced Migration and Human Rights*, Report of the Fridtjof Nansens Institutt, January 2016.
46. Ödalen J., *Underwater Self-determination: Sea-level Rise and Deterritorialized Small Island States*, 17(2) Ethics, Policy & Environment 2014.
47. Ross N. J., *Climate Change Risks to Representative Government in Kiribat*, (2014) 2 New Zeland Association of Comparative Law Yearbook, 2015.
48. Pansieri F., *United Nations Deputy High Commissioner for Human Rights, Address to the Full Day Discussion on Human Rights and Climate Change, Full-Day Discussion on Human Rights and Climate Change*, Palais des Nations, Geneva, 6 March 2015.
49. Muller P. H., *National Communication regarding the Relationship Between Human Rights & The Impacts of Climate Change, Permanent Mission of the Republic of the Marshall Islands to the United Nations*, submission to the United Nations Human Rights Council, 31 December 2008.
50. Gillot et al v. France, HRC, 2000, CCPR/C/75/D/932/2000, 13.16; Brilmayer L., *Secession and Self-Determination: A Territorial Interpretation*, 16 Yale Journal of International Law, 1991, 198; Crawford J. R., *The Creation of States in International Law*, Clarendon Press, Oxford, 2006.
51. Capotorti F., *Human Rights Study Series 5: Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities*, United Nations, New York, 1991, 568.
52. Ross N. J., *Low-Lying States, Climate Change-Induced Relocation, and the Collective Right to Self-Determination*, Victoria University of Wellington, 2019.
53. *Legality of the Threat of Nuclear Weapons*, Advisory Opinion, ICJ Rep., 08 July 1996..
54. Delaney R., *De-recognition of States: A Different Approach to Failed States*, Fall/Winter Stanford Journal of International Relations, 2008.
55. Kreijen G., *State Failure, Sovereignty and Effectiveness*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2004, 37;
56. Raič D., *Statehood and the Law of Self-Determination*, Kluwer Law International, The Hague, 2002, 409.
57. Stoutenburg J. G., *When Do States Disappear? Thresholds for Effective Statehood and the Continued Recognition of Deterritorialized Island States*, Cambridge University Press, Cambridge, 2013, 67.
58. Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo, Advisory Opinion, General List No. 141, ICJ, 22 July 2010, Separate Opinion of Judge Trindade, 150-151.
59. *Case Concerning Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua, Nicaragua v. United States of America, Merits*, ICJ Rep., 27 June 1986, 108.
60. Stoutenburg J. G., *Disappearing Island States in International Law*, Brill Publishers, Leiden, 2015, 169;
61. Jain G., *The 21st Century Atlantis: The International Law of Statehood and Climate Change-Induced Loss of Territory*, 50 Stanford Journal of International Law 1, 2014.
62. L. Luxner, *Raising the Maldives*, Saudi Aramco World, May/Jun, 2009.

63. Elferink A. G. O., *Artificial Islands, Installations and Structures*, 3 Max Planck Encyclopedia of Public International 2013.
64. Ravin M., *Law of the Sea: Maritime Boundaries and Dispute Settlement Mechanisms*, 23 United Nations-The Nippon Foundation 2005.
65. Kisk J., *The Law of International Spaces*, Sijthoff, Leiden, 1973.
66. Jennings R. Y., *The Acquisition of Territory in International Law*, Manchester University Press, Manchester, 1967.
67. Shaw M. N., *Territory in International Law*, 13 Netherlands Yearbook of International Law 1982.
68. Schwarzenberger G., *Title to Territory: Response to a Challenge*, 51(2) American Journal of International Law 1957.
69. Land Reclamation in the Netherlands 1300 v. 2000, July 2, 2017.
70. A Brief History of Land Reclamation in Mumbai, India.
71. The Role of Reclamation in Hong Kong Development.
72. Land Reclamation Benefits in Nigeria.
73. Intergovernmental Panel on Climate Change, *Climate Change 2013: The Physical Science Basis*. Working
74. Group I Contribution to the Fifth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change,
75. Cambridge, United Kingdom, Cambridge University Press, 2013, 56.
76. Bird E., Prescott J. R. V., *Rising Global Sea Levels and National Maritime Claims*, Marine Policy Reports, 1989, 177-196; Caron D. D., *When Law Makes Climate Change Worse: Rethinking the Law of Baselines in Light of Rising Sea Level*, Ecology Law Quarterly, 1990, 621.
77. Rayfuse R., *Sea Level Rise and Maritime Zones: Preserving the Entitlements of "Disappearing" States* in: Gerrard M. B., Wannier G. E., *Threatened Island Nations: Legal Implications of Rising Seas and a Changing Climate*, Cambridge University Press, 2013, 167–191.
78. *North Sea Continental Shelf Cases*, Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. Netherlands, ICJ Rep., 20 February 1969, 92.
79. *Case concerning Maritime Delimitation in the Black Sea*, Romania v. Ukraine, ICJ Rep., 3 February 2009, 108.
80. *Case concerning Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea*, Nicaragua v. Honduras, ICJ Rep., 8 October 2007;
81. Award in the arbitration regarding the delimitation of the maritime boundary between Guyana and Suriname, Guyana v. Suriname, Permanent Court of Arbitration, 17 September 2007.
82. International Law Association, *Report of Baselines under the International law of the Sea*, Sofia Conference, 2012.

83. Jesus J. L., *Rocks, New-born Islands, Sea Level Rise and Maritime Space* in: Frowein J. et al. *Negotiating For Peace – Liber Amicorum Tono Eitel*, Springer, Berlin/Heidelberg, 2003, 602.
84. International Law Association, *Report on International Law and Sea Level Rise*, Johannesburg Conference, 2016.
85. Akerhurst's Modern Introduction to International law, Routledge, London, 7th edition, 2000, 148-150; Simsarian J., *The Acquisition Title to Terra Nullius*, 53 Political Science Quarterly 1938.
86. Dörr O., *Cession*, Max Planck Encyclopedias of International Law, 2013.
87. Ellesmoor J., Rosen Z., *Kiribati's Land Purchase in Fiji: Does It Make Sense?*, 11 January 2016.
88. Harrington A., *Is there a Right to Territory in International Law?*, in Smith J. (ed.), *Property and Sovereignty: Legal and Cultural Perspectives*, Abingdon, Routledge, 2016.
89. International Law Commission, *Commentary on Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts*, 2001.
90. Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014.
91. Verheyen R., *Climate Change Damage and International Law: Prevention Duties and State Responsibility*, Martinus Nijhoff Publishers, 2005, 257;
92. Voigt Ch., *State Responsibility for Climate Change Damages*, 77 Nordic Journal of International Law 2008.
93. Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014.
94. International Law Commission, *Commentary on Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts*, 2001.
95. Paepcke F. V., *Statehood in Times of Climate Change: Impacts of Sea Level Rise on the Concept of States*, Peter Lang GmbH, Internationaler Verlag der Wissenschaften, 2014.
96. United Nations General Assembly, *United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples* (UNDRIP): resolution/adopted by the General Assembly, 2 October 2007, A/RES/61/295;
97. Centre for Minority Rights Development (Kenya) and Minority Rights Group International on behalf of Endorois Welfare Council v Kenya, 276/2003, African Commission on Human and Peoples' Rights, 4 February 2010, 209.
98. Campbell J., *Climate Induced Community Relocation in the Pacific: The Meaning and Importance of Land* in McAdam J. (ed.), *Climate Change and Displacement: Multidisciplinary Perspectives*, Bloomsbury Publishing, London, 2010.